ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის სამშაბათობით (№ 1 (1747)) 1 - 7 თებერვალი 2000 წ. ● ფასი 50 თეთრი

# "ვინაიდან საქართველოში მამაკაცების უმეტესობა ჰამპერსებით დადის, მტერთან ომი და შურისგება შეუძლებლად მიაჩნიათ"...



მეორე გვერდი





## საყოყმანო რა ჰქონდა პრეზიდენტს?!



პრეზიდენტმა, როგორც ვიცით, დიდი ყოყმანის შემდეგ გადაწყვიტა კვლავ მიეღო მონაწილეობა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში და მის მხარდამჭერთა გულის გასახარად ამის შესახებ ხმამაღლაც განაცხადა. კეთილი და პატიოსანი. ეს ამბავი ჩვენც გულთან მივიტანეთ ახლოს და ძალიანაც ვემადლიერებით პრეზიდენტს იმისათვის, რომ ობლად არ დაგვტოვა და კვლავ გადაწყვიტა გაპრეზიდენტება, თორემ, წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, რა ქაოსი იქნებოდა ქვეყანაში, როცა ყველა პოლიტიკოსი, უმწიფარი, თუ მოწიფული, ჭკვიანი თუ უჭკუო, ფულიანი თუ უფულო პრეზიდენტის ტახტს წაეპოტინებოდა... ისეთი ამბავი იქნებოდა, რომ იტყვიან, ძაღლი პატრონს არ აიყვანდა ხელში...(თუმცა იმას ვერ იტყვი, რომ საპრეზიდენტოდ ვარგისი ადამიანები გამოგველია საქართველოშიო, მაგრამ ეს საუბრის სხვა თემაა).

ერთმა რამემ კი გაგვაოცგაგვაკვირვა ნამდვილად: საყოყმანო რა ჰქონდა ბატონ ედუარდს, დიდი ყოყმანის შემდეგ რომ გადავწყვიტე კენჭი მეყარა პრეზიდენტის პოსტზეო, რომ განგვიცხადა. ალბათ, მაინც, ეს ერთგვარი რევერანსი იყო ხალხის წინაშე, აბა, ეს გურიაში გაზრდილ-დაბადებული და მერე და მერე დიდ პოლიტიკაში დაბრძენებულ-დაფრთიანებული კაცი ვინმე უბირი პოლიტიკოსივით (ასეთებიც ბლომად გვყავს) პირდაპირ, ყოველგვარი ზრდილობის გარეშე, ეგრევე ხომ არ გვაჯახებდა - ვიყრი კენჭს პრეზიდენტის პოსტზე და მორჩა აი ამბავიო...

## „ქვეყანაში, სადაც იარაღის ძალით იცვლება ხელისუფლება, არ შეიძლება პოლიტპატიმრები არ იყვნენ!

მესამე გვერდი

## ქართველი ოფიცრის სევდიანი ნაამბობი, ანუ სამხედროების „მოთმინიერება" საქართველოში. („შვილის ნუკრის ნაამბობის" მიხედვით)

მეექვსე გვერდი

## ან საარჩევნო კანონი შეიცვლება, ან ბოიკოტი არ აგცდებათ!

დაახლოებით ასე ჟღერდა ის ულტიმატუმი, ამასწინათ რომ ცხრა ოპოზიციურმა პარტიამ წაუყენა ხელისუფლებას და მმართველ პარტიას. დეკლარაციაში, რომელსაც ეს ცხრა პარტია აწერს ხელს და რომელიც გავრცელდა მასმედიით, აღნიშნულია ყველა ის ნაკლი, რომელიც უმრავლესობის მიერ მიღებულ საარჩევნო კანონშია დაფიქსირებული და რომელმაც, ფაქტიურად, ოპოზიციის აზრით, საარჩევნო კამპანია ასეთი დიდი გამარჯვებით დაამთავრებინა უმრავლესობას. კანონი თუ არ შეიცვალა, აღნიშნავს ოპოზიცია, ეს ხელისუფლება მუდმივად იქნება ქვეყნის სათავეში და მისი შეცვლის არავითარი შანსი არ რჩებაო. კაცმა რომ თქვას, არ შეიძლება არ დაეთანხმო ოპოზიციის ამ საღ აზრს, მაგრამ აქ ქვანიას ამასწინანდელი განცხადებაც გვახსენდება იმის შესახებ, რომ შევარდნაძეს თუ ალტერნატივა არ ჰყავს დღეს, ოპოზიციამ ეს საკუთარ თავს დააბრალოსო, ანუ ოპოზიციამ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს არა მხოლოდ ეს, არამედ ყველა ის ჭირიც, რაც დღეს მის თავს არის, რადგან მათ (ოპოზიციურმა ძალებმა) ამბიციები ვერ მოთოკეს, გაერთიანება ვერ მოახერხეს, არჩევნები საერთო ფრონტით ვერ წარმართეს, პარლამენტს შიგნითა თუ მის გარეთ ასე დაქსაქსულ-დათითოკაცებულნი დარჩნენ და ახლა. როცა ურემი კარგა ხნის გადაბრუნებულია, გზების მოძებნა და მუშტების ქნევა, ვფიქრობთ, გვიანი არ იყოს, თუმცა მთლად ხელების ჩამოშვებაც არ ეგების და ცდაც ბედის მონახევრეა - ეგებ, ახლა მაინც შეძლონ გაერთიანება და საარჩევნო კანონიც შეაცვლევინონ ხელისუფლებას. ვნახოთ, ამას უახლესი მომავალი გვიჩვენებს, მანამდე კი, სხვა რა დაგვრჩენია, ველოდოთ პროცესების განვითარებას.

## წადი, რუსო, წადი!..





ჩვენი ბედისა რა ვთქვი, თორემ რაღა რუსს გადაგვკიდა ბედისწერამ მთელი ეს ორასი წელიწადი, რაღა რუსი მოგვივლინა მაინცდამაინც მეზობლად, მეგობრად, უფროს ძმად და ჭკუის მასწავლებლად.

ჯერ იყო და მეფის რუსეთის პირობებში გვზარდა უფროსმა ძმამ გულმოდგინედ, მერე აღზრდის ეს მეთოდი მოძველებულად მიიჩნია და ახლა ლენინ-სტალინ-ორჯონიკიძეები და მათი დამქაში კომუნისტები მოგვიჩინა ძიძებად და მასწავლებლებად. ამათაც მუყაითად გვზარდეს, გვასწავლეს, არც როზგი დაგვაკლეს, არც რუსული პანღური, არც მწარე მათრახი და მოუსავლეთში მგზავრობა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ გაგვზარდეს, მაინც ჩვენსას გავიძახოდით და ვიძახით დღესაც: ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს.

რუსი კი გიჟდება ამაზე. როგორ, კაცო, რა გახდა ეს ტამბოვისა თუ როსტოვის ოლქის ხელა საქართველო, რომ ჩვენს ჭკუაზე ვერ მოგვიყვანიაო. ამიტომაც გვემუქრება დღედაღამ ხან გადარეული ჟირინოვსკის, ხანაც გასალდაფონებული გენერლების თუ შოვინიზმით ჭკუანაღრძობი პოლიტიკოსების პირით, მაგრამ ჩვენი მორჯულება არ იქნა და არ იქნა.

სტამბულის სამიტზე რომ ამასწინათ თითი დაუქნიეს, ამან ხომ სულ გადარია რუსი. სულ ტლინკები ყარა და ჯერჯერობით ჩვენი ჯავრი ჩეჩნებზე იყარა, თუმცა ღრენით მაინც გვიღრენს და თუ როდის დაგვიპირებს შეჭმას, ამას ალბათ, შესაბამისი სამსახურები დაადგენენ.

მანამდე კი, დროა ყველამ ერთად, მთელმა ხალხმა ვიყვიროთ - წადი, რუსო, წადიო. იქნებ რამე შევასმინოთ დერჟავული სულისკვეთებით გაქლენთილ რუსს და ეგება დაეტიოს თავის კანში, ანუ თავის საზღვრებში?

## მაფიოზებს ხახვსაც ვერ დააჭრი ყურებზე

გასაკვირ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ეგ არის. უფრო სწორად, გასაკვირი ქვეყანა კი არა, მისი ხელისუფლებაა, თუმცა იმდენჯერ გააკვირვა ამ უკანასკნელმა მისი ხალხი, რომ უკვე აღარც არაფერი გვიკვირს. მაგალითები გნებავთ? კი, ბატონო. აი, ავიღოთ თუნდაც კორუფციასთან ბრძოლის ამბები. მთელმა დუნიამ იცის, რომ კორუმპირებულნი ის ადამიანები არიან, ვინც ხელისუფლების უმაღლეს კიბეებზე არიან ჩამომსხდარნი და ამ უმაღლესი კიბის თავში მდგომთა ნათესავებიც არ აკლებენ კორუფციას ხელს, მაგრამ რა მერე? არაფერიც! ვერავისაც ვერ დააჭრი ყურებზე ხახვს, - ერთი, ვთქვათ, შევარდნაძის ახლო კაცი ან მისი ახლო ნათესავია, მეორე სახელმწიფო მინისტრის ან მისი მოადგილის, მესამე პარლამენტის თავმჯდომარის ან რომელიმე კომიტეტის თავმჯდომარის, მეოთხე შინაგან საქმეთა მინისტრის ან უშიშროების მინისტრის, მეხუთე კი იმისი, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე იმისი და იმისი და ა.შ.

ახლა კონკრეტულად: რამდენი იყვირეს ენერგომაფიაზე, მაგრამ დასაჯეს ან ჩაჩხიანი ან გიორგაძე, ან ბადურაშვილი, ან ჩახნაშვილი თუ სხვები ამისთვის? არა, არა და კიდევ ერთხელ არა.

ქვეყნის პენსიები რომ უჭამიათ ხუფენიას და ძმათა მისთა, აუფრინეს ბუზი თუ არა?

ჩვენი ჩინოვნიკების ხელშეწყობით რომ რუსულმა კომპანიებმა ბევრი ჩვენი მსხვილი საწარმო მიიპრივატეს, ამაზე აგო ვინმემ პასუხი? არავინ.

ახლა, ნავთობ-ბენზინ-გაზ-დიზელის და სხვა დარგების მაფიებზე აღარაფერს ვამბობთ, რადგან ყველამ იცის, თუ ვის ხელშია ეს დარგები, მაგრამ ყურსაც არავინ აპარტყუნებს.

ანდა, ვინ გააპარტყუნებს, როცა თავად ხელისუფლებაა მაფიოზურკლანური და საკუთარ ყურებზე ხომ არ დაიჭრის ხახვსა, პაა?

მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ მსოფლიოს სხვა მაფიებს ჩვენი მაფია არა ჰგავს. არა ჰგავს არა მხოლოდ გარეგნულად, არამედ შინაარსით - კერძოდ, მსოფლიოში მაფია კლასიკური გაგებით დაკავებულია ნარკოტიკების გაყიდვით, პროსტიტუციით, გასართობი დაწესებულებებით, ბორდელებით, იარაღის ვაჭრობით და არამცდაარამც ხალხისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგებისა თუ პროდუქციის მონოპოლიზებით. ჩვენთან კი პირიქით ხდება: მაფია სწორედ მოსახლეობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის პროდუქციით ვაჭრობს ანუ ნავთობიც, ბენზინ-დიზელიც, გაზიც, სპირტი, შაქარი, პური (ხორბალი) თუ სხვა საქონელი, ასეთი აუცილებელი ჩვენი არსებობისთვის, სწორედ მაფიოზების ხელშია და თავად ეს მაფია კი ხელისუფლებასთანაა შეზრდილი ანუ მისი ტყუპისცალია.

ამიტომაც ყურებზე ხახვის (თუნდაც ნიორის) დაჭრა შეუძლებელია. აქ ალბათ, სხვა მეთოდი იქნება უფრო უპრიანი.

# ახალ-ახალი ამბები

## რეპლიკა-კომენტარებით

### კვირაიამ კიდევ ერთხელ გაგვაკვირვა...



უშიშროების ყოფილი შეფი, შოთა კვირაია, რომელიც ქართულ მასმედიასა და მის მკითხველსა თუ მაყურებელ-მსმენელს ლამის დავიწყებული ყავდა, ამ ორი კვირის წინათ კვლავ ამოტივტივდა და უნდა ითქვას, საკმაოდ არასასურველ (მისთვისაც და ჩვენთვისაც) ამპლუაში, ანუ მოსკოვში სამკურნალოდ (აქამდე ასე ვიცოდით) თვეობით გადახვეწილ ექს-მინისტრს ლამის პუტინთან, რუსულ სპეცსამსახურებთან საეჭვო კავშირები დააბრალეს და ეს ერთგვარი ეჭვები საქართველოს უშიშროების საბჭოდან გასვლის შესახებ მისეულმა განცხადებამაც უფრო გააძლიერა.

კვირაია კი, რომლის მოღვაწეობაც საქართველოში ჯერ შსს მინისტრის, შემდეგ კი უშიშროების მინისტრის პოსტებზე არცთუ ნათელითაა მოსილი, და ბევრი „შავი საქმის“ გაკეთებაც ბრალდება, ძალიან კი გვამშვიდებს თავის განცხადებაში, მკურნალობის გარდა სხვა არაფერი გამივლია გულში, ანუ რა რუსეთის სპეცსამსახურები, რა პუტინი, რის პუტინიო და ჩვენც სხვა რა გზა გვაქვს, უნდა ვერწმუნოთ მის სიტყვებს და იმასაც, რომ საკუთარი ქვეყნისათვის შოთა ცუდის გაკეთებას არ იფიქრებს, თუმცა, რუსების ანდაზისა არ იყოს, “доверяй, но проверяй“...

### ელცინის მაგალითი გადამდები არ აღმოჩნდა

2000 წლის დამდეგს რუსეთის ფედერაციის პირველმა პრეზიდენტმა, ბორის ელცინმა ნამდვილი დემოკრატიის შესანიშნავი მაგალითი უჩვენა კაცობრიობას, ანუ საკუთარი სურვილით პრეზიდენტობის პოსტიდან გადადგომით, მისივე სიტყვებით, მან პოლიტიკისკენ გზა გაუხსნა ახალგაზრდა თაობას, რომელმაც, ისევ მისივე სიტყვებით თუ ვიტყვით, 21-ე საუკუნეში რუსეთი უნდა ატაროს ნათელი და ბედნიერი გზებით.



მართალია, მიუხედავად იერუსალიმში მის მიერ თავისივე მისამართით წარმოთქმული სიტყვებისა, “Я святой президент“,–ო, მის კისერზე მაინც უამრავი ადამიანის სისხლია და მსხვერპლთა რაოდენობა კვლავ და კვლავ იზრდება ჩეჩნეთში წარმოებული ომის გამო, მაგრამ ცალსახად შეიძლება იმის თქმაც, რომ ელცინის დამსახურებაა ის, რომ რუსეთში დემოკრატია გარკვეული დოზით მაინც არის (თუმცა რა დემოკრატიაა ის, როცა მთელი ერის, ჩეჩნების, გენოციდი მიმდინარეობს).

ჩვენ არ ვიცით, რას იზამს ელცინი გადადგომის შემდგომ, ანუ რაღაცა დოზით კვლავ შემორჩება პოლიტიკას თუ ისტორიულად ცნობილი ერთ-ერთი რომაელი იმპერატორის მსგავსად, კომბოსტოს მოყვანას დაიწყებს საკუთარ აგარაკზე, რომელიც პუტინმა ასე დიდსულოვნად მიუბოძა, მაგრამ ერთ სამწუხარო და საგანგაშო ფაქტს კი ვხედავთ, ანუ ვხედავთ იმას, რომ ელცინის მაგალითი გადამდები არ აღმოჩნდა სხვებისთვის, პოსტსაბჭოური ქვეყნების პრეზიდენტებისათვის და მეტიც, ზოგიერთ მათგანს სიცოცხლის ბოლომდე პრეზიდენტობის სურვილიც კი გაუჩნდა და ერთ-ერთმა მათგანმა, თურქმენ-ბაშმა ნიაზოვმა საკუთარი პარლამენტისგან უკვე მიიღო კიდეც მუდმივი პრეზიდენტობა და გამოუჩნდებიან თუ არა მას მიმდევრები დსთ-ს სხვა ქვეყნებში, ამას დრო გვიჩვენებს, თუმცა მანამდე ერთი რამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენდა სამწუხაროდ, ამისი გარკვეული სიმპტომები დღეს ჩვენთანაც შეინიშნება.

## ინტერვიუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ზურაბ სამუშია:

### ... ვინაიდან საქართველოში მამაკაცების უმეტესობა პამპერსებით დადის, მტერთან ომი და შურისგება შეუძლებლად მიაჩნიათ...



უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს ხელისუფლების მიერ აფხაზეთის პრობლემის მოგვარება მხოლოდ და მხოლოდ სამთავრობო მოლაპარაკებათა უსასრულოდ გაწელილი „სერიალებით“ შემოიფარგლება!.. პრობლემა პრობლემად რჩება და მას უკვე ამ კუთხის ღირსებაშელახული მკვიდრთაგანნი თუ შეგვახსენებენ!..

საზოგადოებისათვის ცნობილია, რომ დაარსდა აფხაზეთის განთავისუფლების დროებითი კომიტეტი. მისმა წევრებმა ჯერჯერობით ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვეს. ინტერნეტის საშუალებით გავრცელებულ მიმართვაში მათ მსოფლიო თანამეგობრობას მოუწოდეს, აფხაზეთის გასანთავისუფლებლად გაატარონ ქმედითი ღონისძიებები. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული კომიტეტის წევრები აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყებით იმუქრებიან.

– დღესდღეობით ინტერნეტში არსებობს ორი კატეგორიის აფხაზეთი. პირველი, „აფხაზიად“ მონათლული, რომელსაც არძინბას ქალიშვილი კურირებს კანადაში და მეორე „აფხაზეთი ინტერნეტი“, რომელსაც თბილისში შადიმან ხელაძე ხელმძღვანელობს. – აღნიშნა აფხაზეთის გათავისუფლების დროებითი კომიტეტის ერთ-ერთმა წევრმა, პარტიზანული დაჯგუფების „თეთრი ლეგიონის“ მეთაურმა ზურაბ სამუშიამ.

– უკვე შვიდი წელიწადია, რაც დავკარგეთ აფხაზეთი და დღევანდელი ხელისუფლების შემყურეებს უახლეს პერიოდში საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის არავითარი გარანტია არ გაგვაჩნია. ამიტომ დროებითმა კომიტეტმა თხოვნით მიმართა საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომ დააჩქარონ აღნიშნული პროცესი.

– *რომელი ქვეყნები გამოეხმაურნენ ინტერნეტით გაგზავნილ მიმართვას?*

– გამოგვეხმაურნენ კანადიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და საფრანგეთიდან. ისინი საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი მამულიშვილები არიან, ნიკოლაძეების, ზაალიშვილების და ჩოლოყაშვილების შთამომავლები. პასუხები



დევს ინტერნეტში და თუ დაინტერესდებით, შეგიძლიათ გაეცნოთ მას.

– *როგორ მიგაჩნიათ, რა შედეგს მიაღწევთ?*

– მიმართვის ტექსტში ნაჩვენებია, რომ თუ პოლიტიკური მიმართვების შედეგები არ იქნება ხელშესახები და საბოლოო, მაშინ დროებითი კომიტეტი მიმართავს უკანასკნელ საშუალებას. ამაში იგულისხმება ძალისმიერი მეთოდებით აფხაზეთის ტერიტორიიდან კრიმინალური რეჟიმის დამარცხება და განდევნა.

– *რისი ან ვისი იმედი გაქვთ?*

– ჩემი სახლის დამბრუნებელი მე ვარ და იმედსაც საკუთარ თავზე ვამყარებ.

– *ეს რომ საკმარისი არ არის?*

– მაგალითისთვის მოგახსენებთ, რუსეთის თავდაცვის სამინისტროსა და ფედერალური ძალების შეიარაღებული რეგულარული ჯარი დაახლოებით თხუთმეტი ათასი უახლოესი საბრძოლო ტექნიკით უტევს გროზნოს. შედეგები ამაოა. დაახლოებით ოთხი ათასი „ბოევიკი“ იცავს ქალაქს. იქ წმინდა მეომრული სული სუფევს და ეს რიცხობრივი შეუფარდებლობა მისაღებია. ვინაიდან საქართველოში მამაკაცების უმეტესობა პამპერსებით დადის, მტერთან ომი და შურისგება შეუძლებლად მიაჩნიათ.

ათასკაციანი ჩვენებური შეიარაღებული ძალებით ჩვენ არძინბას კრიმინალურ რეჟიმს განვდევნით აფხაზეთიდან.

მე ამას გპირდებით!

– *არის თუ არა დასაშვები, რომ რუსეთის მიერ ჩეჩნეთში წამოწყებული საომარი მოქმედებების ანალოგიური მექანიზმი აფხაზეთშიც გამოყენებულიყო?*

– სავსებით ბუნებრი-

*გაგრძელება მე-4 გვ*

## ძვირფასო მკითხველებო!

თითქმის ორთვიანი იძულებითი „შესვენების“ შემდეგ მოგვეცა საშუალება გამოგვეცა გაზეთ „საქართველოს“ მორიგი ნომერი უკვე ახალ, 2000 წელს. იძულებითი „შესვენება“ კი განაპირობა სხვადასხვა ობიექტურმა მიზეზებმა და მათ შორის უმთავრესია ფინანსური კრიზისი, რომელსაც რედაქცია განიცდის.

თქვენ კარგად იცით, რომ ბევრი გაზეთის ზურგს უკან გარკვეული პოლიტიკური და ფინანსური წრეები დგანან და უხეშად რომ ვთქვათ, აფინანსებენ მათ. ჩვენი გაზეთი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, მოკლებულია ასეთ „სიამოვნებას“. ამიტომაც, მძიმე ფინანსური პრობლემები შეგვექმნა, მაგრამ მაინც ვცდილობთ გაზეთი ვაცოცხლოთ და ჩვენი გულისნადები თუ ქვეყნის ჭირ-ვარამი,

*გაგრძელება მე-9 გვ*

# -ინტერვიუ-

## „ქვეყანაში, სადაც იარაღის ძალით იცვლება ხელისუფლება, არ შეიძლება პოლიტპატიმრები არ იყვნენ!

*ინტერვიუ სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის ფონდისა და ადამიანთა უფლებების დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტთან, ბატონ გიორგი თევზაძესთან*

*ბატონი გიორგი 1987 წლიდან ჩაება ეროვნულ მოძრაობაში. იყო წმინდა ილია მართლის საზოგადოების ერთ-ერთი აქტიური წევრი, რომელსაც ჯერ მერაბ კოსტავა, შემდეგ კი ზვიად გამსახურდია ედგა სათავეში. კოსტავას დავალებით ხელმძღვანელობდა ადამიანთა უფლებების დამცველ ჯგუფს. არის 9 აპრილის მონაწილე და დაზარალებული. წმინდა ილია მართლის საზოგადოებაში თავმჯდომარეობდა ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტს, სადაც გაერთიანებული იყო რვა კომისია და ქვეკომისიები. 1990 წლის არჩევნების შემდეგ აღნიშნული კომიტეტი კვლავ განაგრძობდა ფუნქციონირებას. სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, 1992 წლის 20 იანვარს გიორგი თევზაძის ინიციატივით შეიქმნა სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და პატიმართა სოციალური უზრუნველყოფის ფონდი, რომლის დამფუძნებელ კონფერენციაზე ის ერთხმად აირჩიეს ფონდის პრეზიდენტად.*



– ჩვენ წარვმართეთ საორგანიზაციო საქმიანობა. კერძოდ, საქართველოს მასშტაბით დავაფუძნეთ რაიონული, საქალაქო და რეგიონალური ორგანიზაციები. ფონდში გაერთიანებულია 1500-ზე მეტი სხვადასხვა პროფესიის მოქალაქეები: იურისტები, სტუდენტები, ჟურნალისტები და ა.შ. თითქმის ყველა რაიონული ორგანიზაცია მუშაობს ადამიანთა უფლებების დაცვის განხრით. საკუთარი უფლებების დაცვისათვის მოგვმართავენ, როგორც მოქალაქეები და განსასჯელები, ასევე ორგანიზაცია-დაწესებულებების ხელმძღვანელები და კოლექტივის წევრები. ჩვენ ყურადღებით ვსწავლობთ შემოსულ განცხადებებს, მივმართავთ ამა თუ იმ უწყებას, დასაბუთებულ მიმართვას, შუამდგომლობებს ვუგზავნით შესაბამის ინსტანციებს, საიდანაც მეტწილად დადებით პასუხებს ვღებულობთ.

თუ განმცხადებლის მოთხოვნა არ შეესაბამება კანონს და რეალურად მის მიერ წამოჭრილი საკითხი ადამიანის უფლებების დარღვევასთან არავითარ შეხებაში არ არის, მაშინ ჩვენ მოქალაქეს განვუმარტავთ საქმის არსს და ისინი დიდი მადლიერიც რჩებიან, რადგან შესაძლებელია კანონში გაურკვე-

*გაგრძელება მე-4 გვ*

# ახალ-ახალი ამბები
## *რეპლიკა-კომენტარებით*

### დესტაბილიზაციის საფრთხე ყოველი არჩევნების წინ?



უკვე კარგა ხანია ჩვენში ტრადიციად დამკვიდრდა არჩევნების წინ გარკვეული საფრთხობელების, მტრის ხატის, მადესტაბილიზირებელი მომენტების შექმნა თუ მასზე საუბარი. ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, საპარლამენტო არჩევნებისწინა პერიოდი გავიხსენოთ, როცა თავად პრეზიდენტმაც კი რამდენჯერმე გაგვაფრთხილა ჩვენ, ქვეყნის მოსახლეობა, იმის შესახებ, რომ თუ „აღორძინების" ბლოკი მოვა ხელისუფლებაში, ეს სახელმწიფო გადატრიალების ტოლფასი იქნებაო. თუმცა ჩვენ, უბირმა ხალხმა, დღემდე მაინც ვერ გავიგეთ, თუ რატომ იქნებოდა ეს სახელმწიფო გადატრიალების ტოლფასი და რა გვემუქრებოდა ამით, მაგრამ დღეს ეს არ გვაინტერესებს, ამაზე საუბარი სხვა დროს იყოს. დღეს უფრო საინტერესო ისაა, რომ ამჯერად ჯერჯერობით რუსეთის გარკვეულ წრეებზე მიგვანიშნებენ, მაგრამ მთლად ბოლომდე არ აკონკრეტებენ მომავალ ტერორისტებსა და დესტაბილიზაციის მსურველ ძალებს. ამას, ალბათ, უკვე არჩევნების წინ, რამდენიმე კვირით ადრე გვეტყვიან და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებენ იმაში, რომ მსოფლიოში არსებული ყველა ტერორისტი თუ ბნელი ძალა ჩვენი წინააღმდეგია, რადგან ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიულ, ნათელ სახელმწიფოს და რომ არა ჩვენი პრეზიდენტი, წარმოიდგინეთ, ახლა რა ბნელში ანუ რომელ ჭურსა თუ გამოქვაბულში ვისხდებოდითო. სხვა გზა არაა, უნდა დაეთანხმო მათ ამაში, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, ამდენი საფრთხობელებისა და მტრის ხატის შემქნელ ხელისუფალთ ერთხელაც, როცა ნამდვილი საფრთხე დაემუქრებათ, ანუ ცნობილი იგავისა არ იყოს, მგელი დაუპირებს შეჭმას, არავინაც არ დაუჯერებთ...

# აკაკი ბაქრაძის ხსოვნას

*ერთი ლექსის ისტორია*

ერთხელ ზაურ ბოლქვაძემ აკაკი ბაქრაძეს მასზე დაწერილი ლექსი მიუტანა თურმე. აღფრთოვანებული დარჩენილა. მსგავსი რამ ჩემზე ჯერ არავის არაფერი დაუწერიაო, - უთქვამს. პოეტს, თავის მხრივ, უთხოვია: – ამ ლექსის სიცოცხლეში გამოქვეყნებას არ ვაპირებ. მიზეზს თვითონვე მიხვდები. კარგად შეინახე. როცა მოვკვდები, რაც გინდა ის ქენი, გზა ხსნილი გექნებაო. ბატონ აკაკის უპასუხნია – არა, ზაურ, ამ ლექსის არსებობას ხალხი, ალბათ, ჩემი სიკვდილის შემდეგ გაიგებსო.

სხვათა შორის, ამ ორიოდე წლის წინ ბატონ აკაკის ერთ-ერთ ინტერვიუში უთხრეს – თქვენ თანამედროვე ილია ჭავჭავაძეს გეძახიანო. სასტიკი უარით უპასუხა – არ არის მართალი. შეიძლება, ეს თქვენი კეთილი სურვილია, მაგრამ სინამდვილეში წერილობით ეს აზრი არავის გამოუთქვამსო. არადა, ზაურ ბოლქვაძის ბრწყინვალე ლექსი „აკაკი ბაქრაძეს" 12 წლის წინათ იყო უკვე დაწერილი.

სიტყვაგაუტეხელობის, თავმდაბლობის რა ლამაზი მაგალითია!

ეს ლექსი ჩემს ხელში შემთხვევით მოხვდა. ბატონი აკაკის უმცროსი და, ქალბატონი ნათელა კარგად იცნობდა ზაურ ბოლქვაძეს. სრულიად შემთხვევით გზად შეხვედრია თურმე. პოეტს უკითხავს – მოგეწონა თუ არა შენი ძმისადმი მიძღვნილი ჩემი ლექსიო. ქალბატონმა ნათელამ არაფერი იცოდა. ბატონ ზაურს გაუცინია – უცნაური კაცია შენი ძმა, წადი და უთხარი, მე ნებას გაძლევ, ამ ლექსის ასლი შენც გქონდესო.

ახლოვდებოდა 1999 წელი. ოზურგეთიდან თბილისში წამოსასვლელად ვემზადებოდით მე და ქალბატონი ნათელა. უცბად მეუბნება: ქედს ვიხრი ზაურ ბოლქვაძის ხსოვნის წინაშე, მაპატიებს მისი ნათელი სული, მის ლექსს მოგცემ. შენებურად კარგად დაიზეპირე და დაბადების დღეზე სადღეგრძელოდ ჩემს ძმას ეს ლექსი უთხარიო. წავიკითხე, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სულმოუთქმელად ველოდი 99 წლის 29 მარტს. მოვიდა ნანატრი დღეც. მაგრამ ვერ შევძელი ჩემი სურვილის შესრულება. არ იყო იქ ამ ლექსის წაკითხვის სიტუაცია და იმიტომ. გვერდით არც ქ-ნი ნათელა მყავდა, რომ გავემხნევებინე. ავად იყო, ვერ წამოვიდა.



უცნაური ყოფილა განჩინება ბედისწერისა: ზაურ ბოლქვაძის ლექსი 1999 წლის 11 დეკემბერს დიდუბის პანთეონში, ბატონი აკაკის დაკრძალვის დღეს წავიკითხე მხოლოდ.

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ დაბეჭდოთ ზაურ ბოლქვაძის ეს შესანიშნავი ლექსი თქვენდამი რწმუნებულ გაზეთში ჩემი პატარა შესავლითურთ.

<u>ნინო კუკულაძე</u>
<u>24.12.99.</u>

<u>აკაკი ბაქრაძეს!</u>

შენოდენა ერისკაცი ახლა
არ გვყავს!..
უშენობა ჩვენს ერს დააჩა-
ჩანაკებს!
ნამდვილ გმირად გაღია-
რა ჩვენმა ხალხმა!
ეს აშინებს ყალბ გმირ, ლა-
ჩარ ამხანაგებს!..
ყველას, ვინაც საქართვე-
ლოს სახელს ლახავს, –
ანადგურებ, აცამტვერებ,
აჩანაგებ!..
პირში გეტყვი: შენთან თი-
თი მომიკაკვავს!
ვიცი, მჯერა, ხმალს
ქარქაშში არ ჩააგებ!
მართალ სიტყვას უკვდა-
ვების ურწევ აკვანს
და მებრძოლი გულანების
ლაშქარს ადგენ!
იდექ ისე შეუპოვრად, რო-
გორც დგახარ
და ქართველთა არასოდეს
არ წავა მზე!
შენს ნაწერებს, შენს გა-
მოსვლებს ელვა ახლავს,
ბრძნულ, ღრმა აზრებს აქუ-
ხებ და აზანზარებ!..
დღეს აკაკი შენ ბაქრაძე
მარტო არ ხარ, –
ღვთაებრივი ილიაც ხარ
ჭავჭავაძე!..

ზ. ბოლქვაძე
1984 წ. 2 დეკემბერი

### რატომ უჭერს მხარს ჯგუშია შევარდნაძეს?

**Photo News**



ბოლო დროის ერთ-ერთ მორიგ სენსაციად პარლამენტარ თენგიზ ჯგუშიას განცხადება იქცა, რომელმაც სამეგრელოს დეპუტატებთან ერთად მხარი დაუჭირა შევარდნაძის კანდიდატურას და მომავლისათვის მისი პრეზიდენტობით სამეგრელოს რეგიონის შველის გზა-კონტურებიც დაინახა.

ნეტარ არიან მორწმუნენი და ამ შემთხვევაშიც, თენგიზ ჯგუშიაც თავის სინდის-ნამუსთან მართალი კაცია, რადგან მას და მის დეპუტატ მეგობრებს, როგორც ჩანს, გულით სწამთ იმისა, რომ შევარდნაძე მართლაც ჩიხიდან გამოიყვანს არა მხოლოდ სამეგრელოს, არამედ სრულიად საქართველოსაც და ეს ჩვენც გვინდა გვჯეროდეს, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ რატომღაც თვალები აგვება და იმ წარმატებებს ვერ ვხედავთ, რასაც შევარდნაძე და მისი გუნდი თესავს ამქვეყნად ასე უანგაროდ. უფრო სწორი იქნება ვთქვათ, რომ საგარეო პოლიტიკის წინსვლას კი ვხედავთ, მაგრამ აქ, ქვეყნის შიგნით, სულ უკან-უკან მიგვდის საქმე და მისი გამოსწორების არათუ კონტურები, ლანდიც კი არსადა ჩანს, თუმცა ეს ლანდი თუ ლანდები ჯგუშიას და მის მეგობრებს დაულანდავთ უკვე და ეტყობა, ამიტომაც იკლავენ თავს იმისათვის, რათა შევარდნაძეს კიდევ ხუთი წლით გაუგრძელონ მანდატი.

ეს, პიროვნულად, თქვენი საქმეა, ბ-ნო თენგიზ, მაგრამ თქვენ და თქვენმა მეგობრებმა, როგორც თქვენ ბრძანეთ, სამეგრელოს დეპუტაცია ანუ სამეგრელოს მოსახლეობის რჩეულები, როცა შეიკრიბეთ და ეს საშვილიშვილო საქმე გადაწყვიტეთ, იმ თქვენს ამომრჩეველს, სამეგრელოს მოსახლეობას თუ დაეკითხეთ რამე, თუ ჰკითხეთ მათ, აი, ასე ვაპირებთ, და თქვენ რას იტყვითო?

ასეთი რამ თქვენ, რა თქმა უნდა, არ გაგიკეთებიათ, თორემ რომ გაგეკეთებინათ, შესაძლოა, ამგვარი განცხადების სურვილი არ გაგჩენოდათ.

ისე, მომავლისათვის რომ იცოდეთ, არა მხოლოდ თქვენ და თქვენმა მეგობრებმა, არამედ ყველა დეპუტატმა, ასე ვთქვათ, ხალხის რჩეულებმა, აჯობებს უფრო ხშირად იტრიალოთ ხალხის წიაღში, ჩაიხედოთ მის გულში, მის გონებაში, ეზიაროთ მის ჭირ-ვარამს და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოთ ესა თუ ის გადაწყვეტილება. ამით თქვენც მოიგებთ და თქვენი ამომრჩეველიც.

ერთიც: ყოველთვის გახსოვდეთ, რომ არცერთი თქვენგანი, რა წონა-ზომისაც არ უნდა იყოთ, სამეგრელოს და მასთან ერთად, სრულიად საქართველოს ყოველთვის ვერ წარმოადგენთ, ანუ ხალხის ხმაა მთავარი და სწორედ ამ ხმას უნდა უგდოთ ყური ყველამ – თქვენც და ჩვენც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-2 გვერდიდან

ინტერვიუ

## ზურაბ სამუშია:
## ... „ვინაიდან საქართველოში მამაკაცების უმეტესობა პამპერსებით დადის, მტერთან ომი და შურისგება შეუძლებლად მიაჩნიათ...

ვია. სრულიად დასაშვებია, რომ რუსეთის მიერ საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ჩეჩნეთში წამოწყებული საომარი მოქმედებების ანალოგიური პროცესი თუ მექანიზმი აფხაზეთშიც შეემუშავებინათ, რადგან სხვა, იდეალური ვარიანტი საქართველოს მთლიანობის აღსადგენად დღემდე ვერ მოიძებნა.

*– ბატონო ზურაბ, აფხაზეთის დაცემიდან დღემდე მრავალი თქმულა ამ ომის შესახებ. აფხაზეთის ტრაგედიაზე ყველა თავისებურად მსჯელობს. როგორც მებრძოლი, როგორ ფიქრობთ, რა შეგვეშალა და რატომ შეგვეშალა ამ ომში?*

– ამ ომის უდიდესი შეცდომა იყო ართქმა მსოფლიო საზოგადოებისადმი იმისა, რომ ჩვენ ვებრძოდით რუსებს და არა აფხაზებს. ფაქტები ვერ აღვნუსხეთ. რუსეთთან ვაწარმოებდით ომს და ეს თავის დროზე ვერ ვუთხარით მსოფლიოს. ეს შეცდომა ბრწყინვალედ გამოიყენა არძინბამ. 1998 წლის 3 ოქტომბერმა დაგვარწმუნა, რომ იგი ასი წელი არ არის ჩვენსკენ მომხედავი და ყოველნაირად გაუკეთებს იგნორირებას საქართველოს ხელისუფლებას.

ახლა კი იძულებული ვხდებით, ან დროებით კომიტეტს დავუჭიროთ მხარი, ან არძინბას ხელისუფლებას. გენერალურ პროკურატურაში არსებობს „დაკონსერვებული" მასალა, რომელსაც ობი დაედო. საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი იცის და არა აქვს უფლება, არ დაადანაშაულოს ის, ვისაც ლომის წილი უდევს აფხაზეთის დაცემაში.



*– რას გვეტყოდით მაის-ივნისის ცნობილი ტრაგედიის შესახებ?*

– სამწუხაროდ, მას სათანადო სახელიც ვერ შევარქვით. ზოგმა „მცირემასშტაბიანი ომი" უწოდა და აქაც დავმარცხდით! ხომ შესაძლებელია, რომ იგივე გამეორდეს?

– ეს იყო პროვოკაცია, რომელიც საქართველოს გენერალურ პროკურორს გამოძიებული აქვს. გეკითხებით, მარულებს ვინ მართავდა? დროშებს ვინ აფრიალებდა? ჰუმანიტარული დახმარებები ვის შემოჰქონდა? ეს ყველაფერი პოპულიზმის დონეზე იყო აყვანილი და ფაქტიურად, ოფიციალური სტრუქტურაც პარტიზანი გახდეს. ახლა ისინი ხელფასსაც ითხოვენ!.. აფხაზეთის ომის დროს ბევრი მათგანი საერთოდ არ ჩანდა და უკიდურესმა შედეგმა, შიმშილმა აიძულა წასულიყო და ხელფასი მიეღო. გალის მოვლენების დროს ბევრი მათგანი ჩახოცეს. მინდა გამოვყო ერთი რუსი ეროვნების მებრძოლი, ვინმე „კოსტია", რომელიც ქორიძედ მოვნათლეთ. საოცარია, რუსმა იწამა, რომ საქართველოსათვის უნდა დაიღუპოს. როცა მტრის პირისპირ აღმოჩნდა, მან თავი მოიკლა!.. თავი მოიკლა საქართველოსათვის!.. მე ახლა ამ გმირს ვინმეს გავუტოლებ? ხელფასიანს? მე თუ ვინმეს მოვთხოვე ფული, მეომარი არ ვიქნები. დღეს სრულიად საქართველო უნდა იყოს პარტიზანი. მხოლოდ ასე თუ ვუშველით საერთო საქმეს.

*– ამჟამად საქართველოში დესტაბილიზაციის ერთ-ერთ მომენტად აკაკი ელიავასაც მიიჩნევენ. რამდენად შესაძლებელია, რომ გააქტიურდეს მისი დაჯგუფება?*

– ელიავა იყო სახელმწიფო ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელი. მას პირადად კოდორის ხეობაში გავეცანი, სადაც ხეობის დასაცავად 30 კაცით მოვიდა. ამის შემდეგ ელიავასთან არავითარი შეხების წერტილი არ მქონია.

*– ბატონო ზურაბ, საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა ჯგუშიას განაცხადი იმის თაობაზე, თითქოს თქვენს ზურგს უკან დგანან მაღალი რანგის ჩინოვნიკები, რომლებიც „უეცრად გაუჩინარდნენ". ცხადია, მან შოთა კვირაია იგულისხმა. ხომ არ დაგვიკონკრეტებდით, რის საფუძველზე გააკეთა ჯგუშიამ ასეთი დასკვნა. საერთოდ, ვინ არის ის რეალური ძალა, რომელსაც თქვენ ეყრდნობით?*

– სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ – მე არავის არ ვეყრდნობი. ჩემს ზურგს უკან არც კვირაია დგას და არც შევარდნაძე! ჩემი დასაყრდენი ჩემი ლეგიონი და აფხაზეთში მცხოვრები ადამიანები არიან. რაც შეეხება ჯგუშიას განაცხადს, ეს მისი დაულვინებელი პოლიტიკოსობის შედეგია. მინდა იცოდეთ, ჯგუშია შეიძლება ადვილად შეეგუოს სახლის, ტერიტორიის დაკარგვას და ამას სამუშია ვერასოდეს შეეგუება. ყველამ იცით, ჯგუშია აფხაზეთის გარდა საქართველოს ყველა კუთხეში ჩაწიხლეს!

სხვათა შორის, მისი სახე მხოლოდ პრესის ფურცლებიდან და ტელევიზიის ეკრანიდან მაქვს დაფიქსირებული. ცოტა არ იყოს, მეშინია კიდეც, ჯგუშიას ნაცვლად ვინმე არ შემომელახოს. თუ გნებავთ, ხუმრობად ჩათვალეთ. ისე, ჩემგან მართლაც მოხვდება, „ჩისტო პო პარტიზანსკიო", რომ იტყვიან. ჯგუშიას თავის დანაშაულზე ვაჟკაცურად მოვთხოვ პასუხს.

√ *ესაუბრა მარინა ჩიტაია*

მე-3 გვერდიდან

ინტერვიუ

## „ქვეყანაში, სადაც იარაღის ძალით იცვლება ხელისუფლება, არ შეიძლება პოლიტპატიმრები არ იყვნენ!..

ველმა პიროვნებამ არასწორი მოთხოვნებით სხვადასხვა ინსტანციები შემოიაროს და საბოლოო შედეგს კი ვერ მიაღწიოს. შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებიც ამ მეთოდით რომ მუშაობდნენ, ისედაც გაუსაძლის პირობებში, მოქალაქეების ნერვებს დავზოგავდით.

ქვეყანაში ადამიანთა უფლებების რეალურ დაცვას ფაქტიურად ხელს უშლის ადამიანთა უფლებების საერთაშორისო დოკუმენტებში, პაქტებში გაუცნობიერებლობა, როგორც მოქალაქეების, ასევე ზოგიერთი უწყებისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდანაც.

ყველაზე მეტად ირღვევა ადამიანთა სოციალური უფლებები. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი უმუშევარია. ისედაც სასაცილო ხელფასებისა თუ პენსიების გაცემა თვეობით გვიანდება. მიუხედავად ამისა, მოქალაქეს უამრავი სახელმწიფო გადასახადის გადახდას სთხოვენ. AES თელასის წარმომადგენლები დავალიანებულ აბონენტს დენს უჭრიან და ამით მოსახლეს ერთ-ერთ უმთავრეს საარსებო წყაროს უსპობენ! აღსანიშნავია ერთი გარემოებაც – თელასის წარმომადგენლები ელექტროენერგიის დანახარჯს არა ბინაში დამონტაჟებული მრიცხველებით აღრიცხავენ, არამედ კომპიუტერის მეშვეობით მიღებული რაღაც გამოანგარიშების საფუძველზე. ამგვარი ფაქტები ძალზედ ბევრია. იბადება ბუნებრივი კითხვა: ვისი ბრალია, რომ მოქალაქეს დაკისრებული სახელმწიფო გადასახადების გადახდა არ შეუძლია?! პასუხი განსჯისათვის თქვენთვის მომინდვია.

*– ჩვენ ევროკავშირის წევრობა გვაქვს განზრახული, უკვე ვართ ევროსაბჭოს სრულუფლებიანი წევრი ქვეყანა. ევროსაბჭოს უმთავრესი ფუნქცია კი ადამიანის უფლებების დაცვაა. ჩვენი ქვეყანა ამ პირობას, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, ვერ ასრულებს. ელენე თევდორაძის თქმის არ იყოს, ალბათ ევროკავშირში გაწევრიანების მოლოდინში სასტარტო მდგომარეობაში დიდხანს მოგვიწევს დარჩენა. თქვენი აზრით, ხელისუფლებამ ამ მიმართულებით განსაკუთრებით რომელი ბერკეტები უნდა აამუშაოს?*

– მისასალმებელია საქართველოს საერთაშორისო არენაზე გასვლა. ეს გარემოება თავისთავად უფრო უნდა ამკვიდრებდეს ადამიანთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფას და ამ მიმართულებით არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას. მე სრულიად ვეთანხმები ქალბატონ ელენე თევდორაძის მიერ გამოთქმულ აზრს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ პირადად მე და ჩვენ, ორგანიზაციებს, ძალიან თბილი, მეგობრული და საქმიანი ურთიერთობა გვაკავშირებს ქალბატონ ელენესთან, ქალბატონ რუსიკო ბერიძესთან და სახალხო დამცველის აპარატთან, ასევე საქართველოში აკრედიტირებული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

ბერკეტებს რაც შეეხება, უამრავი პრობლემაა გადასაჭრელი, მაგრამ პირველ ყოვლისა უნდა დარეგულირდეს სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთპარიტეტული თანამშრომლობის მექანიზმი, უნდა შეიქმნას იურიდიული ბაზა, სადაც ხაზგასმით და მოკლედ იქნება ჩამოყალიბებული ჩვენი უფლებები და მოვალეობები, ასევე მოსაწესრიგებელია სამთავრობო ორგანიზაციების უფლება-მოვალეობები ჩვენთან მიმართებაში და ურთიერთმაკონტროლებელი მექანიზმი. მიუღებელია ამა თუ იმ უწყების ხელმძღვანელი ელოდოს გადაწყვეტილების ზევიდან მიღებას, არამედ მან მიღებული კანონის შესაბამისად უნდა განახორციელოს თავისი მოვალეობა.



*– საფიქრებელია, რომ სანამ ხელისუფლების ნება არ იქნება, არანაირი ფსევდორეფორმები საქმეს არ უშველის და თქვენი ორგანიზაციების მოღვაწეობა წყლის ნაყვას ხომ არ ემსგავსება?*

– სრულიად გეთანხმებით, უპირველესად ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში კანონიერების დაცვა და ადამიანთა უფლებების მატერიალიზაცია. ჩვენი და ანალოგიური ორგანიზაციები მოწოდებული არიან რეალურად დაიცვან ადამიანის უფლებები. ზემოთ აღნიშნულის მიუხედავად, მაინც ვახერხებთ დავიცვათ თითოეული მოქალაქის, განსასჯელის კანონიერი უფლებები. მიმაჩნია, რომ ისეთი ორგანიზაციების არსებობა, რომლებიც სამართალდამცავი ორგანოებისგან იცავენ პიროვნებას და ათავისუფლებენ უკანონო დასჯისაგან, უკვე გამართლებულია. ჩვენი უშუალო ჩარევით მრავალი მოქალაქის უფლებები დავიცავით. მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

*– ყველაზე მეტად რომელ სტრუქტურაში ირღვევა ადამიანის უფლებები? თვით პოლიცია, ხშირად თავის მოწოდებას აბსოლუტურად დაშორებულია...*

– შემოსული განცხადებების საფუძველზე თუ ვიმსჯელებთ, ყველაზე მეტად მოქალაქეთა უფლებები ირღვევა წინასწარდაკავების საკანში. აგრეთვე, შელახულია, როგორც ადგილობრივი, ასევე აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილი მოსახლეობის სოციალური უფლებები. მათ დარღვეული აქვთ მთავარი უფლება – იცხოვრონ საკუთარ ჭერქვეშ მშვიდობიანად.

*– ბატონო გიორგი, საქართველოში გვყავს თუ არა პოლიტპატიმრები?*

– ქვეყანას, სადაც იარაღის ძალით იცვლება ხელისუფლება, არ შეიძლება არ ჰყავდეს პოლიტპატიმარი. არსებობს აშშ-ის კონგრესის მიერ მიღებული დეფინიცია, სადაც აღნიშნულია ამ სტატუსის პატიმართა განსაზღვრება. ჩვენთვის მოუმართავთ ისეთ პოლიტპატიმრებს, როგორიც არიან დომუხოვსკი, გელბახიანი და ა.შ. უზენაეს სასამართლოში აღნიშნულ პირებზე წარმოებულ პროცესზე საზოგადოებრივ დამცველად გაგზავნილი გვყავდა ჩვენი ორგანიზაციის წევრები, მათ შორის იყო ყოფილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი გოგი ხოშტარია. პოლიტიკაში არ ვერევით, მაგრამ ჩვენი მთავარი მიზანია დაცული იქნეს ადამიანის უფლებები, მისი პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად.

*– ქვეყანაში მწვავედ დგას პროსტიტუციის საკითხი, რომელიც უამრავ პრობლემებს უქმნის მოქალაქეებს. თქვენ, როგორც ადამიანის უფლებების დამცველს, როგორ გესახებათ მისი მოგვარება?*

– რა თქმა უნდა, საკმაოდ პრობლემატური საკითხია. ამასთან ერთად, სისხლის სამართლის კოდექსში ამოღებულია მუხლი პროსტიტუციის შესახებ. ეს საკითხი დემოკრატიულ ქვეყნებში მიღებული ფორმების შესაბამისად უნდა მოგვარდეს. ჩემი აზრით, დევნა და რაღაც ფართომასშტაბიანი აქციების მოწყობა სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან შედეგს ვერ გამოიღებს და მიუღებელიცაა. ფაქტიურად, დაირღვევა ამა თუ იმ პიროვნების უფლებები. რაც უფრო მალე მიიღებს პარლამენტი კანონს პროსტიტუციის შესახებ, მით უფრო ადრე გადაიჭრება ეს პრობლემა ქვეყანაში. ამ ნაბიჯს საერთაშორისო ორგანიზაციები და დემოკრატიული ქვეყნები დადებითად მიიღებენ.

*– როგორ შეაფასებდით თქვენი სამსახურის მუშაობას? რამდენად შეესაბამება ის ცივილიზებულ სამართლებრივ საფუძვლებს?*

– ჩვენი საქმიანობა მოსახლეობამ უნდა შეაფასოს. უბრალოდ, მინდა გითხრათ, რომ მიღებული გვაქვს მრავალი მადლობის წერილები მოქალაქეებისგან, ორგანიზაცია-დაწესებულების ხელმძღვანელობისგან.

მიუხედავად იმისა, რომ არავინ არ გვაფინანსებს, ჩვენი ორგანიზაციის წევრთა ერთობლივი ენთუზიაზმით, რაიონული და რეგიონალური ორგანიზაციების თანადგომით ჩავატარეთ მრავალი საქველმოქმედო ღონისძიება. კერძოდ, იმერეთის რეგიონალურმა ორგანიზაციამ, რომლის თავმჯდომარეა ბ-ნი ომარ კერესელიძე, გეგუთის კოლონიაში, ქუთაისის მეორე იზოლატორში და სხვადასხვა საპატიმრო დაწესებულებებში შეიტანა კვების პროდუქტები და მედიკამენტები. ანალოგიური ღონისძიებები გატარდა აჭარის რეგიონში, ასევე ლაგოდეხის რაიონულმა ორგანიზაციამ ნინიგორის ბავშვთა ბაღს გადასცა ტანსაცმელი და კვების პროდუქტი. ამგვარი ფაქტების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. პრესის მეშვეობით გამოქვეყნებულია არაერთი მადლობა აღნიშნული და სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით.

დემოკრატიის მთავარი მონაპოვარია ადამიანის თავისუფალი ნების გამოხატვა, მისი ღირსების და უფლების დაცვა და სამართლებრივი ინსტიტუტი, რომელიც ხელს უწყობს ქვეყანაში დემოკრატიის დამკვიდრებას.

– გმადლობთ საუბრისათვის.

√ *ესაუბრა ირმა ურბეხაშვილი*

# დასავლეთსა და აღმოსავლეთში



## „ჭუჭყიანი არჩევნები“... საქართველოში

სათაურით „უკრაინა და საქართველო-რუსეთი აგებს“ განთქმული ჟურნალი „The Economist“ ათავსებს მასალას უკრაინის საპრეზიდენტო და საქართველოს საპარლამენტო გასული წლის არჩევნების შესახებ. წერილის პირველივე სიტყვებია: „ორი ჭუჭყიანი (mucky) არჩევნები, ორი მანკიერი (flawed) ჩამონათვალი კანდიდატებისა, ორი შვების ამოსუნთქვა“. ესაა, ჟურნალის აზრით, სურათი 31 ოქტომბერს ორ ყოფილ საბჭოთა ქვეყანაში ჩატარებული არჩევნებისა. ერთი ამ ქვეყანათაგანი არის „ევროპის გეოპოლიტიკის საკვანძო მონაწილე“ - უკრაინა, მეორეა „ცეცხლსაშიში კავკასიის ღერძზე მდებარე“ საქართველო.

უკრაინაში შედგა პირველი რაუნდი არჩევნებისა, სადაც კუჩმას დაუპირისპირდა რუსეთთან უკრაინის შეერთების მომხრე კანდიდტთა ჯგუფი. კუჩმამ მოიპოვა დიდი, მაგრამ არა დაუძლეველი უპირატესობა. საქართველოში „ იყო საერთო არჩევნები, სადაც ოპოზიციური პარტია, რომელსაც რუსეთი ამხნევებს, კვალდაკვალ მისდევდა მმართველ პარტიას. ეს პარტია შევარდნაძის მომხრეა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის პოზიციას იცავდა. შევარდნაძემ საიმედოდ მოიგო“.

უკრაინას, ჟურნალის სიტყვით, ელის არჩევნები 14.XI (ნომერი გამოსულია 6.XI), თუმცა უკრაინელებს ცოტა საფუძველი აქვთ მოსწონდეთ კუჩმა, რომელიც ხუთი წელი მისჩერებოდა შემზარავ კორუფციასა და ეკონომიკურ დაცემას, მათ მაინც შესაძლებელია უყოყმანოდ მისცენ მას ხმა, რათა არ დათმონ თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა“. მისი ამჟამინდელი მეტოქე სიმონენკო, მიუხედავად თავისი პოლიტიკური მანქანის სიძლიერისა, ყველაზე ნაკლები ალბათ კანდიდატი იყო და ამიტომაც შეუწყო მას ხელი კუჩმას გუნდმა პირველ ტურში. ჟურნალი თვლის, რომ კუჩმას „ვერმმართველობის“ (minrule) სიმონენკო მაინც ხიფათს წარმოადგენს მისთვის.

საქართველოს საპარლამენტო არჩევნები, ჟურნალის აზრით, „ცოტა უფრო ხალისიანად“ გამოიყურება. „ეს ქვეყანა გასაღებია ამ რეგიონში ნავთობსადენთა გაყვანის დასავლური გეგმებისათვის“. შევარდნაძის პარტიის მიერ მოგებულმა ხმების 42%-მა მას არსებული კანონით, პარლამენტის უმრავლესობა მისცა და შევარდნაძის ახლად არჩევის შანსიც აამაღლა. ისევე, როგორც უკრაინაში, საქართველოშიც უამრავი საფუძველია დღევანდელ მმართველთა კრიტიკისათვის და არანაკლები - იმის კრიტიკისათვის, თუ როგორ ესმით მათ პატიოსნური პოლიტიკური თამაში. მაგრამ მოწინააღმდეგე ჯგუფის - აღორძინების გამარჯვება შესაძლოა უარესი ყოფილიყო. მისი ლიდერი ასლან აბაშიძე მართავს უცნაურად მოწყობილ (odd) და სავსებით ავტოკრატიულ მინისახელმწიფოს - აჭარას შავი ზღვის პირას თურქეთის საზღვარზე. იგი უპირისპირდება შევარდნაძეს“,

„და მაინც, უკრაინაშიც და საქართველოშიც ყველაზე მეტად წაგებული არის დემოკრატია. გარეშე დამკვირვებლებმა გააკრიტიკეს კამპანიის მიმდინარეობა. მთავარი საინფორმაციო საშუალებები მონურად მხარს უჭერდნენ მთავრობებს. სახელმწიფო მოხელეები მთელი ძალით მონაწილეობდნენ კამპანიაში, მრავლად იყო ჭუჭყიანი (dirty) ხრიკები. დასავლეთს ადვილად წაეყენება ბრალდებები, რომ, - ისევე, როგორც რუსეთის შემთხვევაში, - იგი ქადაგებს დემოკრატიას, მაგრამ პრაქტიკაში გეოპოლიტიკას ატარებს. დღევანდელ შვების ამოსუნთქვას შესაძლოა შემდეგში სულის შემხუთავი დაღონება მოჰყვეს.

## ჯერაც ეძებენ ალტერნატივებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისთვის

მიუხედავად სტამბულში ამ დიდმასშტაბიანი შეთანხმების ხელმოწერისა, მისი მოწინააღმდეგენი ჯერ კიდევ განაგრძობენ მისი ალტერნატიული ვარიანტების განხორციელების მცდელობას, რომელთა შინაარსი, მოკლედ, შემდეგია: დიდმა ნავთობმა არ უნდა აუაროს გვერდი რუსეთს. რატომ? იმიტომ, რომ რუსეთის დატოვება თამაშგარეშე მდგომარეობაში არ შეუწყობს ხელს აშშ-რუსეთის ურთიერთობათა სასიკეთო განვითარებას, ამჟამად, როცა ამ პროექტის მოწინააღმდეგენი წაგებულ მდგომარეობაში არიან, მათი განაცხადი შეკვეცილი სახით წარმოგვიდგება: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი კი უნდა გაკეთდეს, მაგრამ არა როგორც ერთი მრავალთაგანი და არა როგორც ერთადერთი. „ისტორიულად კასპიის ენერგეტიკული რესურსები მხოლოდ ჩრდილოეთით მიედინებოდა და შემდეგ რუსეთიდან - მსოფლიო ბაზრებშიო“ - განაცხადა ერთ-ერთმა მაღალი თანამდებობის პირმა, ამ პროექტის მოწინააღმდეგემ, სტამბულის სამიტის პრესკონფერენციაზე (რაც არაზუსტია, რამდენადაც ჯერ კიდევ 900-იან წლებში მოქმედებდა საექსპორტო ხაზი „ბაქო-ბათუმი“ და ამ მარშრუტით ნავთობსადენიც არსებობდა რკინიგზასთან ერთად) - „ამ რეგიონის ქვეყნები და აქ მომუშავე ნავთობკომპანიები იმ აზრისა არიან, რომ საჭიროა, მრავლობითი გზები როგორც დასავლური, ისე რუსეთზე გამავალი, მათ შორის ისეთები, რომლებიც უკვე გაკვალულია, და ისეთები, რომელიც დღეს შენდება“ (EJR.29.XII 1999). ერთი ამ მშენებარე ხაზთაგანია ყაზახისტან-ნოვოროსისკის მაგისტრალი, თუმცა მუდამ საკითხავად რჩება, როდის მოისურვებენ და როდის არ მოისურვებენ ამ რეგიონის ნავთობმწარმოებელი ქვეყნები მის შევსებას „შავი ოქროთი“.




აშშ-ს ენერგეტიკული პოლიტიკა დღეს ორი მიმართულებითაა გამიზნული. პირველი: ენერგიის მრავალნაირი (ალტერნატიული) წყაროების მონახვა, რაც შეამცირებს აშშ-ს დამოკიდებულებას ნავთობსა და აირზე საერთოდ (ამ გზით გადაურჩა დასავლეთი 70-იანი წლების ენერგეტიკულ კრიზისს, რომელიც ნავთობის მწარმოებელი ქვეყნების (OPEC-ის) ერთსულოვანმა ზეწოლამ განაპირობა). მეორე: ენერგომატარებლების ახალ წყაროთა ამოქმედება აფრიკაში, კასპიის ზონაში და ლათინურ ამერიკაში. ასე განაცხადა აშშ ენერგეტიკის მდივანმა ბილ რიჩარდსონმა 8-9 დეკემბრის კონფერენციაზე ვაშინგტონში.

გარდა სამი დასახელებულისა, აშშ-ს თითქოს, ეგულება მეოთხე არეალიც, რომელსაც ქვეყნის ენერგეტიკული მომავლისათვის XXI საუკუნეში დიდი მნიშვნელობა აქვს. აშშ მეცნიერებათა აკადემიების და ჩინეთის მეცნიერულ-საინჟინრო აკადემიის ერთობლივი მოხსენება სათაურით „ჩინეთისა და აშშ თანამშრომლობა ენერგეტიკული მომავლისათვის“ ეძღვნება ამ ორი ქვეყნის კოოპერაციის პერსპექტივებს ჩინეთის ენერგეტიკული რესურსების გამოკვლევისა და გამოყენების დარგში. მაგრამ ამ აკადემიების დოკუმენტის რეალიზაციის ალბათობა არც ისე დიდია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთ-ერთი ძირითადი მოტივი, რის გამოც აშშ შუა აზიასთან ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას ჩქარობს, იმის შიშია, რომ ეს რეგიონი ჩინეთის გეოეკონომიკურ სისტემაში ჩართული არ აღმოჩნდეს.

9 დეკემბერს პრესკონფერენციაზე კლინტონმა თავისი ადმინისტრაციის მიღწევათა შორის დაასახელა ბაქო-თბილის-ჯეიჰანის პროექტის დამტკიცება, რისი სასიკეთო შედეგიც, მისი თქმით, 30 წლის შემდეგ გამოჩნდება. ერთადერთი პლუსი, რომელსაც მასში მოწინააღმდეგენი აღიარებენ, ისაა, რომ იგი გვერდს უვლის ბოსფორ-დარდანელში ნავთის გატარების პრობლემას. მინუსებად მიაჩნიათ მისი მშენებლობის შედარებითი სიძვირე (2.4 მლრდ. დოლარი) და რაც მთავარია, რუსეთის უკმაყოფილება მის სამხრეთ საზღვრებთან ასეთი ძლიერი ეკონომიკური გზის გაჩენით, რომელიც მისგან დამოუკიდებელია. თუ მხედველობაში მივიღებთ რუსეთის წინააღმდეგობას, მაშინ აშშ-ს ერთი „მაღალი ოფიციალური პირის სიტყვით“ - შესაძლებელია ნავთობსადენის ამუშავების დაწყების პროცესი 2004 წლამდე გაიჭიმოს.

## „ფარღალალა, სისხლიანი რუსეთი“

### (ბრიტანული ჟურნალი რუსეთის მდგომარეობის შესახებ)

ჟურნალი „The Economist“ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე კარგი პოლიტიკური და ეკონომიკური ჟურნალია. მისი ანალიზები, შეფასებები და პროგნოზები ასახავს თანამედროვე მეცნიერულ, პოლიტიკურ და ზნეობრივი აზრის უმაღლეს სადღეისო დონეს და სადღეისო მდგომარეობას. მკითხველს გადმოვცემთ ამ ჟურნალის მსჯელობას რუსეთის თემაზე სარედაქციო წერილში (18.XII-1999).

ჩეჩნეთის ომს ჟურნალი უწოდებს „სამოქალაქო ომს, რომლის უაზრო ულმობელობა ზარავს, პატიოსან გარეშე მაყურებელთა უმრავლესობას“. რუსეთი, წერილის დახასიათებით, არის „უცნაური ქვეყანა, შესაძლოა, უნიკალურად უცნაური ქვეყანა იმ ევროპულ სახელმწიფოთა შორის, (იუგოსლავიის გარდა), რომელთაც კომუნიზმი მოიცილეს ამ 10 წლის წინათ, რუსეთმა ყველაზე უფრო საჭოჭმანო პროგრესს მიაღწია დემოკრატიისა და ქცევის იმ სტანდარტების ათვისების გზაზე, რომლებიც ჩვეულებრივ, დემოკრატიასთანაა ხოლმე ასოცირებული. ქვეყნის ყველა ძირითადი პარტიები მხარს უჭერენ ამ ომს. მათი უმრავლესობა - უკრიტიკოდ“.

ჟურნალი აღნიშნავს, რომ პუტინმა, რომელიც პრეზიდენტობას უმიზნებს, პოპულარობა მოიპოვა სამხედრო გამარჯვების ძლიერი მოთხოვნით. „ჩეჩნები რომ რუსეთში არაპოპულარულნი არიან, გასაკვირი არაა. მათ მრავალჯერ გაუმართლებიათ თავისი რეპუტაცია სასტიკი და მოძალადე ადამიანებისა, რასაც ახლა ისლამისტური ექსტრემისტური იერიც დაჰკრავს. რუსებს აფიქრებთ ტერორიზმი და მათ სურთ თავისი ქვეყნის ხელუხლებლობა, რაც აგრეთვე გასაგებია, მაგრამ დემოკრატიულ საზოგადოებათა უმრავლესობაში ადგილი ექნებოდა პროტესტის იმ განურჩეველი და შეუსაბამო (არაპროპორციული) პასუხის გამო, რასაც ჩეჩნების მიერ გამოწვევას რუსეთის არმია აძლევს... ცოტა რუსი თუ აყენებს კითხვის ქვეშ დებულებას, რომ ერთადერთი გადაწყვეტა საკითხისა არის ჩეჩნეთის ხელმეორე სისხლიანი დაპყრობა და მისი ხალხისათვის უღლის დადგმა“.

ჟურნალი გაკვირვებას გამოთქვამს, რომ რუსეთში საერთოდ არაა სერიოზული მსჯელობა (დებატი) პოლიტიკის საკითხებზე, მათ შორის - „შემზარავ ეკონომიკაზე“, რომელიც დღეს ჰოლანდიისაზე მცირეა. „კომპარტიის მარცხენა მხარეს და ნაციონალისტთა სლავოფილურ ნაკრებს მარჯვენა მხარეს ცხადად გაუხარდებოდათ რუსული იმპერიის აღდგენა ამა თუ იმ სახით, თუმცა ნათელი არაა, ამას როგორ მოახერხებდნენ, გავრცელებულია ცინიზმი იმ კორუმპირებული ახალი წესრიგის მიმართ, რომელმაც ძველი იძულებითი და მომაკვდინებელი წესრიგი შეცვალა. საზოგადოების უმეტესობა დაღონებულია და შეშინებულია რუსეთის დაცემული მდგომარეობით, თუმცა კომუნისტების ჩათვლით, მათ იციან, რომ საბჭოური სტილის წარსულის მობრუნება შეუძლებელია. საარჩევნო ბრძოლაში მონაწილე ფაქტორებად გამოდის „ჭუჭყიანი“ ფული, თავშეუკავებელი დაპირებები, პიროვნებათა დეფამაცია და სხვადასხვა ხრიკებით ისეთ პიროვნებათა წინ წამოწევა, რომელთაც პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვთ.

თუმცა ჟურნალის ნომერი ერთი დღით უსწრებს რუსეთის დუმის არჩევნებს, მასში სწორადაა პროგნოზირებული მათი შედეგი: ძალთა ძირითადად იგივე განლაგება და იმდაგვარი შემადგენლობა, რომელმაც შეიძლება ქსენოფობიისა და ანტიდასავლური ტენდენციების ზრდას შეუწყოს ხელი.

ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთის მომავალი შესაძლო პრეზიდენტების პოლიტიკის პროგნოზირება ჟურნალის მიერ. ზიუგანოვის გავლენა მის სტაბილურ ელექტორატის - მძულვარე ნოსტალგიით შეპყრობილ წრეს ვერ გასცილდება. პუტინი მთლიანად დამოკიდებულია ჩეჩნეთის ომზე. რომელიც მისი ომია. თუმცა იგი შესაძლოა რუსეთის პინოჩეტად იზრდებოდეს. ბიზნესმენები იმედოვნებენ, რომ იგი „შესაძლოა ცუდიც არ იყოს“, რამდენადაც მას მათ წრეებთან გარკვეული კავშირები აქვს. ელცინის წრეს იმედი აქვს, რომ მათ დაიცავს. პრიმაკოვი - ძველი სუკელი პუტინივით - მაინცდამაინც არაა რეფორმების მომხრე. შესაძლოა, მან რამდენიმე მეტისმეტად გათამამებული კორუმპირებული ოლიგარქიის დამხობა მოისუროს.

ორივე ეს შესაძლო კანდიდატი, ჟურნალის აზრით, „დაავადებულია მძიმე რუსული სენით - საშინაო და საგარეო პოლიტიკას ისინი განიხილავენ, როგორც ისეთ თამაშს, რომელშიც ერთი მხარის მოგება მეორის წაგებაა და ეგებ დამდაბლებაც კი. ამიტომ, „ორივემ შეიძლება დიდი უბედურება დაატრიალოს მსოფლიოში და დათრგუნოს უფრო დიდი ავტონომიის მაძიებელი რეგიონები. ჯამში, არც ერთი ამათგანი არაა ხელსაყრელი მსოფლიოსათვის“.

ჟურნალის აზრით, საარჩევნო კამპანიაში გამოჩნდა „რუსეთის მორალური და პოლიტიკური ვაკუუმი“. რა თქმა უნდა, დღევანდელი მრავალპარტიული არჩევნები სჯობია იმას, რაც საბჭოთა დროს იყო, მაგრამ რუსეთი ჯერ ძალიან შორსაა იმისგან, რომ ნორმალური ქვეყანა იყოს. 70-წლიანი მასობრივი მკვლელობისა და იდეოლოგიური სიგიჟის შემდეგ მისი ტრაგედია ისაა, რომ მეტისმეტად ცოტა ვინმეს ესმის: დემოკრატიას და საბაზრო ეკონომიკას ზრდა და ნაყოფის მოტანა ძალუძთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამავე დროს ხელი ეწყობა სამოქალაქო ღირებულებათა განვითარებას, როგორიცაა, პატიოსნება, თანასწორობა კანონის წინაშე, სხვებისადმი თანაგრძნობის თუნდაც მინიმუმი. ზემოხსენებულ კანდიდატებს ეს არ შეუძლიათ, მაგრამ სანამ ეს არ გაკეთდება, მანამდე, ჟურნალის აზრით, რუსეთი საშინელ (horrible) ქვეყნად დარჩება - განსაკუთრებით, საკუთარი ხალხისთვის და პირველ ყოვლისა, ჩეჩნებისათვის.

# ქართველი ოფიცრის ნაამბობი

## ანუ

## სამხედროების „მოთვინიერება" საქართველოში (ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობის" მიხედვით)

„პატარა ვარ, ობოლი, ბედმა დამიბრიყვა"... ასე იწყება გენიალური ვაჟას ეს ნაწარმოები. მომიტევოს დიდი ვაჟას სულმა უადგილოდ შეწუხებისათვის და მე სათქმელს ასე დავიწყებ:

... ობოლი ვარ, მაგრამ ტანი არ მაკლია, ძალა და ღონე. აქამდის გულიც მერჩოდა ჩემი ქვეყნისთვის და სიცოცხლის ხალისიც მქონდა.

მაგრამ არაფერი ყოფილა მშობლებით ობლობა ქვეყნის ობლად და უპატრონოდ დარჩენასთან შედარებით, როცა ერთი, პოლიტიკით დაკავებული ქალბატონის ფრთიანი გამოთქმისა არ იყოს, „პრეზიდენტის სიცოცხლე ქვეყანას არ ატყვია!" პოლიციისგან განსხვავებით პრეზიდენტისთვის ჯარი ვერაფრით გახდა „მშობლიური". ამიტომ სამხედროები ბედმა აშკარად დაგვიბრიყვა – პურის ფულის ძებნით მუდმივ სტრესში მყოფი ხშირად დეპრესიაში ვვარდები და გამოსავლის ძებნაში ცუდი აზრები ამეკვიატება ხოლმე. მეჩვენება, რომ ყველამ მოგვიძულა – ხალხმაც, პრეზიდენტმაც და მინისტრმაც კი, რომელიც ჯარისთვის პირობების შექმნა-გაუმჯობესების მოთხოვნის ნაცვლად... ჯარის შემცირებაზე და ოფიცერთა სახლებში დათხოვნაზე უფრო მეტს საუბრობს (?!). მიზეზად „ჯარის რეფორმის აუცილებლობას" ასახელებენ. მაგრამ ნუთუ ეს ე.წ. „რეფორმები" არსებული კადრების ხელაღებით, ყოველგვარი ერთდროული დახმარების, პენსიის ან მომავლის მცირე გარანტიის გარეშე მაინც ქუჩაში გაყრას ნიშნავს? მათ უკან ხომ ოჯახები – ქალები და ბავშვები დგანან! ფაქტიურად, ხდება უპრეცენდენტო რამ – სამხედროთა დასჯა ქვეყნის ერთგულებისა და თავდადებისათვის. ნუთუ ასე გახდება ჯარში სამსახური პრესტიჟული? ეს ხომ საკითხის პრიმიტიული, სრულიად უპასუხისმგებლო გადაწყვეტაა ხელისუფალთა მხრიდან. რით ვირჩენთ თავს და ვარჩენთ ოჯახს – არავის აინტერესებს". მოგითხრობთ ერთი, ჩვეულებრივი დღის ჩემს თავგადასავალს და თქვენ ამას დაინახავთ.

... უნდა ითქვას, რომ თუ სადმე ახლობელი ან თუნდაც უბრალო გულშემატკივარიც კი მოგვეპოვება მე და მეუღლეს, ყველასთან ვალი გვაქვს აღებული. ვალს, მოგეხსენებათ, დაბრუნება უნდა. უხელფასოდ დარჩენილებს რაკი ამისი საშუალება არა გვაქვს, თითქმის ყველა მათგანი დავკარგეთ. ბოლო დროს ფულს ვალადაც აღარავინ გვენდობა და ოჯახში შიმშილმა ძალიან რომ შეგვაწუხა, იძულებული გავხდი სახლიდან რაიმე გამეყიდა. სხვა ვერაფერი ვნახე – ორი წლის ნახმარი, კამუფლირებული ქურთუკი ჩავიცვი და ბაზრობაზე გავიარე. ჩამოვუარე ხორცისა და ყველის გამყიდველებს. ციოდა, ქურთუკი ყველას უნდოდა, ფულის მოცემა კი არა. ბოლოს ერთ ყველის გამყიდველ ქალს მოვურიგდი – 5 ლარად და 2 კგ. ყველად. ქურთუკი ფულის მოცემისთანავე გამხადა – „შვილი მყავს ჯარში, სიცივით კლავენ უფროსები და მისთვის მინდაო"!

ქურთუკი რომ გამხადა, ახლა საველე ფორმას დაადგა თვალი – ჩემს ბიჭს კარგად ექნება, გაიხადე, 5 ლარს გიმატებო!" მეგონა ხუმრობდა და დაბნეული მივაჩერდი. „ რას მომშტერებიხარ, გაიხადე – 7 ლარს მოგცემო". – მიყვირა და მივხვდი, არ ხუმრობდა. „7 ლარი ერთი კვირა მაინც გვეყოფა ოჯახში პურის ფულად" – გავიფიქრე და გახდა დავაპირე. მაგრამ გამახსენდა სად ვიმყოფებოდი – შუა ბაზარში, ხალხით გარშემორტყმული და აღშფოთებული იერი მივიღე: „ქალო, ხომ არ გაგიჟდი, შიშველი ხომ არ წავალ სახლში!" – ამოვილუღლუღე, აწონილ 2 კილო ყველს ხელი დავტაცე, შემოვტრიალდი და ზაფხულის საველე ფორმაში შილიფად გამოწყობილი პალტოებში და შუბებში ჩაცმული ხალხის ნაკადს სასწრაფოდ შევერიე. უკან ყველითა და ძროხის ტვინით მოვაჭრეთა ხარხარი მომყვა. ვიღაცამ ხმამაღლა დაუსტვინა.

„კიდევ კარგი, ნაცნობს არავის დავუნახივარ" – გავიფიქრე ჩემთვის. „თუმცა არ იქნებოდა ურიგო ამერიკულ ფორმაში გამოწყობილი, 90 ათას ლარად ღირებულ „ჯიპში" თბილად მჯდომ თავდაცვის მინისტრს დაენახა – რა დამცირების ფასად შოულობენ პურის ფულს უხელფასოდ დატოვებული და ლამის კურდღლებად ქცეული მისი ქვეშევრდომი ოფიცრები ოჯახის შიმშილისგან გადასარჩენად; საით მივდიოდი, რომ გეკითხათ – ვერ გიპასუხებდით: მთავარი იყო იმ ადგილს რაც შეიძლება მალე და შორს გავცლოდი!

ბაზრიდან გამოსულმა სიცივისაგან თავის დასაღწევად „მეტროს" მივაშურე. ჯიბეში დამცირების ფასად ნაშოვნი 5 ლარი მედო. მაგრამ ის პურის საყიდლად მეგულებოდა და დახარჯვა არ მინდოდა. ამიტომ „მეტროში" ჩასასვლელად „გამოცდილ" ხერხს მივმართე. ხალხს თვალი მოვავლე, ჩემი ასაკის მამაკაცი შევარჩიე, უკან ავეტორღიალე და ავტომატთან რომ მივიდა, მუდარანარევი ხმით მივმართე: „თუ შეიძლება, უკან მიგყვები?" შემომხედა, ამათვალიერ-ჩამათვალიერა. ეტყობა, შევეცოდე სამხედრო ფორმიანს ასეთი მონური, მორჩილი შესახედაობა რომ მქონდა. ხმა არ გამცა. გამოცდილებით ვიცოდი – ეს თანხმობას ნიშნავდა (პირველად კი არ ვაკეთებდი ასე). კაცმა გასასვლელ ავტომატში ტალონი ჩამოუსვა და გაიარა. „ვინ იცის, ეს ტალონი ჩემი კუთვნილი ტალონია, რომელიც თავდაცვის სამინისტროს რომელიღაც ჩინოვნიკმა გვერდზე გაყიდა და ფული ჯიბეში ჩაიდო. „ჩემი ტალონი" კი ამ კაცის ჯიბეშია" – გავიფიქრე და გავლა ველარ მოვასწარი. გასასვლელი ჩაიკეტა და მასზე უხერხულად გაჩხერილი აღმოვჩნდი. ავტომატმა განგაში ატეხა. ვცდილობდი მეორე ფეხიც შიგნით შემეტანა. „თან აქეთ-იქით თვალს ვაცეცებდი. უცებ ჩემს თავზე ჭექა გაისმა. ავიხედე მაღლა, თავს შავი წვერებიანი ქალი წამომდგომოდა და თვალებიდან იმდენ ზიზღს აფრქვევდა, შევკრთი. „ღმერთო, რამ შეაზიზღა ამ ხალხს საკუთარი ჯარი და ჯარისკაცებიმეთქი" – გავიფიქრე. ქალის მსგავსი არსება კი უკვე ლექციას მიკითხავდა: „სად მიძვრები, შენი ფული არ არი? მაშინ სახლში დაჯდეს". მივხვდი, უცხო ჯიშის იყო და მისი გამოხედვა ჩემთვის გასაგები შეიქმნა. „ვაი შენ, ჩემო ქვეყანავ, რამეთუ შენს მიწაზე შენს ჯარისკაცს გადამთიელი ამდენს უბედავს. ეს ხომ ჩემი – ერთი პიროვნების შეურაცხყოფა არაა მხოლოდ! ეს მთლიანად შენი შეურაცხყოფაა და ნიშანია შენი სიძაბუნისა. იმისა, რომ შენი არც შიში და არც რიდი (სიყვარულს ვინ ჩივის) უცხო თესლს არა აქვს და შენს მიწაზე, შენი ხალხის ხარჯზე, დღეს ის გალაღებულია. სწორად უთქვამთ: ვისაც საკუთარი ჯარის შენახვა არ უნდა, მას სხვისი ჯარისა და ხალხის შენახვა მოუწევსო". ასედაცაა დღეს საქართველოში. – გავიფიქრე, ქალს ხმა არ გავეცი, როგორც იყო ფეხი გავინთავისუფლე და ესკალატორზე შევედი.

ხმაურზე მორიგე პოლიციელი გამოვიდა, მაგრამ მან ქვევითკენ ჩამავალ ჩემს ზურგსღა მოჰკრა თვალი. გულმოსული უცხო ჯიშის დედაკაცი რაღაცას უხსნიდა და ხელს ჩემი მიმართულებით იშვერდა. „კარგად გავასწარი, თორემ შესაძლოა ქონით გაპოხილი მილიციის ღიპიან სერჟანტს ჩემი სამხრეებისთვის არც მიეხედა და დავეკავებინე – მათ ხელისუფალთაგან ამისი ნება დართული აქვთ (?!)", ვფიქრობდი დაბლა ჩამავალი.

ვაგონში ჭედვა იყო. ხალხს შევერიე და გავთბი. მომეჩვენა, რომ მიყურებდნენ. ალბათ ფიქრობენ – ვინაა ეს სეზონის გიჟი, დეკემბერში ზაფხულის ფორმით რომ დაიარებაო. ზოგიერთ სახეზე თანაგრძნობაც ამოვიკითხე, რაც ჯარისადმი თანაგრძნობად ჩავთვალე და სიმართლე გითხრათ, მესიამოვნა: „ნამდვილ ქართველებს თავისი ჯარი სულაც არ ზიზღებიათ-მეთქი" – გავიფიქრე ეს და გამეხარდა.



... „მეტროდან" ამოსულმა ავტობუსს მივაშურე. დრო შევარჩიე და იქ მაშინ ავედი, მძღოლი დაბლა რომ ჩამოვიდა, ესეც „გამოცდილი" ხერხი იყო მძღოლის რისხვის თავიდან ასაცილებლად. ავტობუსის შუაში დავდექი (დაჯდომა არ შეიძლება), რათა ამომსვლელებისათვის ხელი არ შემეშალა. იმ დღეს ჩვეულებრივზე მეტი მგზავრი იყო. გაუპარსავი, ჯირკივით მძღოლი ავტობუსში ამოვიდა, წინ ძეგლივით დადგა და ჩემს მხარეს მგელივით ყურება დაიწყო. თან ხალხს აძალებდა – კიდევ უფრო შემჭიდროებულიყვნენ. ჩემს გვერდით მცირე ადგილი იყო დარჩენილი. ამიტომ უცერემონიოდ პირდაპირ მომმართა:

– „ეი, შენ, ხოშენ, ფორმა რო გაცვია, ფულს თქვენ არ იხდით და გაიწიე მაინც, ხალხი ამოუშვი!" – თითქოს მე ვინმეს ვუშლიდი ავტობუსში ამოსვლას. პასუხს არ დაელოდა, საჭეს მიუჯდა და ხმამაღლა ჩაილაპარაკა: „სადამდის ვატარო ეს მუქთი ხალხი, თუ ფული არა აქვთ, დაეტიონ სახლებში! დაეხეტებიან უპატრონოდ..." – დაამატა ბოლოს.

თავი უკიდურესად დამცირებულად ვიგრძენი, მაგრამ ხმა არ გამიღია, მუნჯივით გავიწიე წინ ნახევარი ნაბიჯით.

ან რა გავაგებინო უბირ მძღოლს, რომელსაც საჭისა და ლარის გარდა არაფერი აინტერესებს: ყველას ქვეყნის ერთგულებასა და პატრიოტიზმს ხომ ვერ მოსთხოვ? მით უმეტეს, როცა კანონიც მის მხარესაა: პარლამენტმა არ ჩათვალა საჭიროდ უპირობოდ ჩაეწერა „კანონში სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ", რომ სამხედრო მოსამსახურეს აქვს საქართველოს ტერიტორიაზე საზოგადოებრივი ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის უფლება და იქვე ამ მუხლს ასეთი პირობა მიუწერეს („სახელმწიფო ბიუჯეტიდან სამხედრო უწყებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯზე"), რომელიც, პრაქტიკულად არ სრულდება და პრეზიდენტის მიერ დიდი ამბით ხელმოწერილი სხვა მრავალი კანონების მსგავსად, ეს კანონიც არსებობს მხოლოდ ქაღალდზე, – არ მუშაობს გადაქცეულია უაზრო „აბრადაკაბრად" – სამხედრო პირებს მძღოლები მგზავრობის ფულს სთხოვენ და ვინც ვერ იხდის, მათ აყენებენ შეურაცხყოფას, ხშირად დაუსჯელად ლახავენ მათი მუნდირისა და მხედრულ ღირსებას, მათ კაცურ თავმოყვარეობას. ღირსებაშელახული სამხედროსგან კი ძნელია მოელოდე თავგანწირვასა და გმირობას, რომელიც ყოველ წუთს შეიძლება მოითხოვოს მათგან სამშობლომ. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ამაზე დემოკრატიის თამაშით გართულ კანონმდებლებს საერთოდ არ უფიქრიათ (?!).

ხოლო, რაც შეეხება უბრალო მძღოლის შენიშვნას ჯარის „უპატრონობის" შესახებ, აქ ეს ნამდვილად არ შემცდარა – მათი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, ქვეყნის სამხედრო უწყება მართლაც უპატრონოდ დარჩენილს ჩამოჰგავს. სხვა რით შეიძლება აიხსნას ის წარმოუდგენელი უსამართლობა და განუკითხაობა, რაც იქ სუფევს, ვთქვათ – ასეთი პარადოქსები: სამი წელია, ოფიცერთა ერთ ნაწილს (მათ, ვისაც „ლევი" შემოსავალიც არ აკლიათ) გაორმაგებულ ხელფასებს უხდიან, მეორე ნაწილს კი ერთმაგი ხელფასი დაუტოვეს და იმასაც არ აძლევენ (?!); ოფიცერთა იგივე ნაწილი თითქმის რეგულარულად იღებს თავის გაორმაგებულ ხელფასებს, მეორე ნაწილი ამას ნაცნობობითა და პროტექციებით ახერხებს, ხოლო მესამე ნაწილს – 9-10 თვის ხელფასები აქვს მისაღები და ვერ მიუღია (?!).

დაუჯერებელია? შემოწმება შეიძლება!

ამ ფაქტების შემყურე ძნელია არ დაეთანხმო იმ მძღოლს და თქვა, რომ „ჯარს ან ქვეყანას ატყვია ნამდვილი პატრონისა და გულშემატკივარის ხელიო".

როგორც ამბობენ, „დემოკრატიულ ქვეყნებში ხელისუფლება ხალხთანაა, ხალხის მიერაა არჩეული და ხალხისთვისააათ"! ძნელია ამ მტკიცების ჭეშმარიტებაში ეჭვი შეიტანო. მაშინ ჩვენს ქვეყანაში რაღაც შეუსაბამობაა: თუ საქართველო დემოკრატიული ორიენტაციისა, როგორც ჩაგვძახიან ხელისუფლები, მაშინ რატომ არაფერს აკეთებენ ისინი ხალხის საკეთილდღეოდ; ხოლო თუ ხელისუფლება ხალხთან არაა, არც ხალხის მიერაა არჩეული და არც მისი უმრავლესობის ინტერესებს იცავს (ამასაც ჩაგვძახიან და არც თუ უსაფუძვლოდ?) მაშინ საქართველო არ ყოფილა დემოკრატიული ორიენტაციის და ეგაა"...

... ფიქრებიდან დამუხრუჭების ხმამ გამომიყვანა. ჩასვლის დრო იყო. ჩასვლისას მძღოლს დაბალი ხმით, მაგრამ მაინც მადლობა ვუთხარი. მან კი, როგორც ველოდი, გაბრაზებით მომიგო: „იცი რა, მადლობაზე" არც პურს და არც ბენზინს არავინ მაძლევს. მადლობა შენთვის შეინახე. მე კი ფული გადამიხადე!

– „ცხრა თვეა ხელფასი არ მოუციათ..." – დავიწყე საცოდავად, მაგრამ მძღოლმა არ მაცალა:

– „ხელფასს საქართველოში არავის აძლევენ, მაგრამ მგზავრობის ფულს ყველა იხდის (?!). შენ რა, ჯარში ვერაფერს შოულობ? გაყიდე ფორმა, ბათინკები, ან ჯარისკაცი გაუშვი სახლში და ფული მოატანინე. რად გინდა, კაზარმაში რომ გყავს უსაქმოდ გამოკეტილი" – დამარიგა ჭკუა, თითქოს საწყობების გასაღები დაენახოს ჩემთვის და დააყოლა: „თუ არ გადამიხდი, მეორედ აღარ წაგიყვან!" – ამ სიტყვებით დიდსულოვნად მაგრძნობინა, – ახლა მიპატიებია. თავისუფალი ხარ. წადი. დამეკარგე თვალიდან..."

– „ადვილად გადავრჩი" – გავიფიქრე დაბლა ჩასულმა. ამასწინათ, ფული რომ ვერ გადავუხადე, მძღოლმა ჩაქუჩი მესროლა. ბეწვზე გადავრჩი. ის ჩაქუჩი კი უკან დავუბრუნე, რასაც შუშების მსხვრევა და აყალ-მაყალი მოყვა, მაგრამ თავს დღესაც შეურაცხყოფილად ვგრძნობ. ამის შესახებ უფროსებს რომ მოვახსენე, მათ მხარდაჭერის ნაცვლად მიპასუხეს: „ხელფასს არ გვაძლევენ, მაგრამ ... კანონით გადახდა გვეკუთვნისო (?!)"

ესაა ჩვენებური – ქართული „დემოკრატიისა" და „თავისუფლების" ერთ-ერთი მთავარი ნიშანი. ასე თავისუფლები ალბათ საგიჟეთში თუ არიან. სამხედრო პირს ხელისუფლება ხელფასს არ უხდის. მან კი... სახელმწიფოს უნდა გადაუხადოს მგზავრობის, დენის, გაზის, ბინის და სხვა გადასახადი(?!).

რით არ გავს დღევანდელი საქართველო მრუდე სარკეების ქვეყანას, რომელიც ხელისუფლების სათავეში რაღაც გზებით მოხვედრილ მის კოსმოპოლიტ და დილეტანტ მმართველებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ზნეობრივ ჩიხში ყავთ შეყვანილი?

ამისი დასტურია ამა წლის 7 იანვარს ბესო ჯუღელის გამოსვლა ტელევიზიით, რომელსაც ვერავინ დასწამებს „იმისტობას" ან „ამისტობას". მან მიუკიბ-მოუკიბავად განაცხადა: „საქართველო, როგორც ეკონომიურად დამოუკიდებელი ქვეყანა, არ არსებობს, ის ბოლომდეა გაპარტახებულიო! ვის-ვის და მრეწველ ბ. ჯუღელს გაეგება ეკონომიკის, მისი ამ განცხადებიდან გამომდინარეობს სხვადასხვა, მრავალი, ქვეყნისთვის საგანგაშო დასკვნები, რომელთაგან ყველაზე საგანგაშო ისაა, რომ ჩვენგან ასე ნალოლიავები, ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობაც ფიქციაა! ღმერთმა ქნას, ერთიც და მეორე დასკვნაც მცდარი იყოს!

... სახლში გაყინულ-გათოშილი შევედი. ოჯახში ჩემს ცარიელ-ტარიელ შესვლას თითქოს მიეჩვივნენ, მაგრამ ყოველთვის მაინც შეკითხვებით სავსე ნაღვლიანი თვალებით მხვდებიან – „ხელფასი მოიტანე?" ეს ჩემზე განსაკუთრებით ცუდად მოქმედებს, მაგრამ ამჯერად უფრო უხასიათოდ დამხვდნენ.

– „მოხდა რამე?" – ვიკითხე შესვლისას.

– „კიდევ კარგი კითხულობ ოჯახის ამბავს!" – დაიწყო მეუღლემ. როდემდე უნდა იარო ასე – თითოვით გალოკილმა. უხელფასოდ. რაღა შენთვის არაა ფული, ან რა გგო-

გაგრძელება მე-9 გვ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# სამყაროს გლობალური მასშტაბით დაღუპვა 2000 წელს არ მოხდება

*დადგა 2000 წელიც. ამ თარიღს ჩვენი საზოგადოება მოლოდინით, კრძალვითა და შიშით შეხვდა. გაჩნდა უამრავი კითხვა, თუ რას უნდა ველოდოთ 2000 წელს, რამდენად სარწმუნოა ხალხში გავრცელებული ხმები მეორედ მოსვლის, სამყაროს აღსასრულის შესახებ. ამ და სხვა კითხვებით მივმართეთ საპატრიარქოს პრეს-ცენტრის თანამშრომელს, ზურაბ ეკალაძეს.*



– პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ გაუგებრობას იწვევს წმინდა ასტრონომიული მხარე, ანუ როდის იწყება 21-ე საუკუნე? სავსებით გარკვეულია, რომ 21-ე საუკუნე იწყება 2001 წლის 1 იანვრიდან. მაცხოვრის შობას რაც შეეხება, ესეც პირობითი თარიღია, იმიტომ, რომ მეცნიერები და მათ შორის, ღვთისმეტყველები, არ შეთანხმებულან, ერთიანი აზრი არ არსებობს, თუ როდის იშვა მაცხოვარი. ქრონოლოგია უფრო იხრება იქეთ, რომ ეს მოხდა ჩვენს წ-აღ-მდე 3 ან 4, ან 7 წელს ძველი წელთაღრიცხვით, მაგრამ რადგან ასე დადგინდა და ფაქტიურად ახალი წელთაღრიცხვა დაფუძნებულია მაცხოვრის შობაზე, ჩათვალეს, რომ 2000 წელი იქნება მაცხოვრის შობის თარიღი. რაც შეეხება შიშს, შიში ცნობილია, საიდან მომდინარეობს. არიან გარკვეული სექტები და რელიგიური მიმდინარეობები, რომლებიც პირდაპირ ასახელებდნენ სამყაროს აღსასრულის თარიღს. სამყაროს აღსასრულს, მეორედ მოსვლას, ქრისტიანობაც აღიარებს, რადგან თვითონ მაცხოვარმაც აღგვითქვა ეს. წმინდა წერილშიც წერია, რომ იქნება ახალი ცა და ახალი მიწა, მაგრამ კონკრეტულად როდის იქნება ამ ქვეყნის დასასრული, ამის შესახებ მაცხოვარი არაფერს ამბობს. იგი არ პასუხობს თავის მოწაფეებს; თუ როდის იქნება ეს, არავინ იცის იმიტომ, რომ ეს საიდუმლოა. ეს არ არის საჭირო ცნობილი იყოს ადამიანებისათვის და ეკლესიაც ამის შესახებ ამბობს: ჩვენ არაფერი ვიცით.

არის მინიშნებები, რომ როცა ბოროტება ძალიან გამრავლდება, მოახლოვდება მეორედ მოსვლა; მაგრამ კონკრეტული თარიღი ამის შესახებ ეკლესიამ არ იცის. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი რელიგიური სექტა და ჯგუფი ასახელებს მეორედ მოსვლის თარიღს. მაგ. ადვენტისტები ასახელებდნენ გასული საუკუნის 40-იან წლებს, იეღოველები 1914 წელს. რა თქმა უნდა, ეს არ სრულდებოდა, ასევე იყვნენ კერძო წინასწარმეტყველები, რომლებიც 2000 წელს მიიჩნევდნენ მეორედ მოსვლის თარიღად, გამომდინარე იქედან, რომ მთავრდება საუკუნე, ათასწლეული და ა.შ. ასეთი უსაფუძვლო პროგნოზები დაბნეულობასა და გაურკვევლობას იწვევს რელიგიურ საკითხებში გაუთვითცნობიერებელ ხალხში. რა თქმა უნდა, ამის რეალური საფუძველი არ არსებობს. მეორედ მოსვლა და რაღაც უბედურება არ არსებობს. მეორედ მოსვლა და რაღაც უბედურება არ მოხდება, იქნება ჩვეულებრივი წელი.

*– ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილში, ვინც მონათლული, ჯვარდაწერილი არ იყო, ისეთი განწყობილება იყო, რომ ნათლობა და ჯვრისწერა დაეჩქარებინათ, მოესწროთ 2000 წლამდე.*

*რითი უკავშირდება ეს განწყობა ამ თარიღს?*

– უწმინდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, თავის ერთ-ერთ ბოლო ქადაგებაში აღნიშნა, რომ რადგან ახლოვდება ასეთი დიდი, მნიშვნელოვანი თარიღი, სასურველია, რომ ყველა მონათლული შევხვდეთ, მაგრამ რომ არ ახლოვდებოდეს 2000 წელი, უწმინდესის მოწოდება მაინც ასეთი იქნება – იგი, მუდამ მოუწოდებს ერს ქრისტიანული ცხოვრებისაკენ, ადამიანის ქრისტიანული ცხოვრება კი სწორედ მისი ნათლისღებით იწყება.

*– პირველად ქართული ეკლესიის ისტორიაში, 1999 წლის 25 დეკემბერი გამოცხადდა საყოველთაო მიტევებისა და პატიების დღედ.*

*რას გვეტყოდით ამ ახალი საეკლესიო დღესასწაულის შესახებ.*

– რადგან მოდიოდა ასეთი დიდი თარიღი, როგორიცაა 2000 წელი, რომელიც საზეიმო წელია, უწმინდესმა სურვილი გამოთქვა, რომ გასული წლის ბოლო მარხვა ყოფილიყო შედარებით მკაცრი. და მიუხედავად იმისა, რომ დიდი მარხვის დროს ყველა მორწმუნე შენდობისა და პატიებისაკენ მიისწრაფვის, 25 დეკემბერს ხაზი გაესვა, როგორც საყოველთაო მიტევებისა და პატიების დღეს. ამ თარიღთან დაკავშირებით საზეიმო წირვა აღავლინა სვეტიცხოვლის ტაძარში, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.

სარწმუნოება, სიყვარული, მიმტევებლობა, სათნოება – აი, ცნებები, რისკენაც ეკლესია მოუწოდებს თავის მრევლს.

და მართლაც, გვქონოდეს უნარი ერთმანეთის მიტევების, პატიების, ერთმანეთის სიყვარულის. გვევლოს უფლისა და ღვთის გზით, ვყოფილიყავით მართლმადიდებელი ქრისტიანები, რადგან ეს არის უმთავრესი მიზანი ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრებისა. სიყვარული ღვთისა და სიყვარული მოყვასისადმი გადაარჩენს ჩვენს ერს.

√ ვერიკო გვარჯალაძე

– კაკალ გულში...–

# მე რომ შენ გიცნობ, ოსტატო, ციხეს ვერ ააშენებო...

საქართველოში გაბატონებულმა ყოველდღიური ცხოვრების სიდუხჭირემ ყველა ერთიანად „არსებობისთვის ბრძოლაში“ ჩააბა...

სამწუხაროდ, უმწეობა-სიღატაკემ განსაკუთრებული სიმძაფრით ინტელიგენციას დაასო საბედისწერო ბრჭყალები და სიგელ-გუჯრებში თავჩარგული ადამიანები ლუკმა-პურის საშოვნელად სოფელში გააქცია (მათგან ზოგიერთი ისე მტკიცედ მიეჯაჭვა მიწას, რომ შრომაში ჩაფლულს სოფლის გლეხისგან ველარ გაარჩევ)...

გაჭირვებამ გაათანაბრა ადამიანები!



გაჭირვებამ გააუფასურა ოდითგანვე ფასდაუდებელი მარადიული ღირებულებები!.. ყველაფერი, რაზედაც ხელი მიუწვდება ადამიანს, დახლის სავაჭრო საქონლად აქცია!

თვეობით გრძელდება ხელფასებისა და პენსიების გაუცემლობა. ხელისუფლების „მოწყალების“ ამაო მოლოდინს ხალხმა თვითვე არჩია გამოსავლის ძიება. გაჭირვებულთა ახალი ტალღა მოაწყდა თბილისს...

უჩვეულოდ შეიცვალა დედაქალაქის ცხოვრების რიტმი.

ყოველდღიური სარჩოს ძიებაში თბილისი „სავაჭრო ცენტრად“ გადავაქციეთ!.. დღეს თბილისი ის ქალაქია, სადაც ერთი ქართველი ჟურნალისტისა არ იყოს, „ჰყიდიან მთელი ცხოვრების მანძილზე შეძენილ თუ მოგროვილ, ლამის სულის ნაწილად ქცეულ ნივთებს, რომელთა გარეშე ზოგჯერ ცხოვრება ცარიელდება თითქმის: წიგნებს გრძნობამოძალებული წარწერებითა და გამხელილი სათქმელით, უძვირფასეს ალბომებს, თითებიდან წაძრობილ ნიშნობის ბეჭდებსა და „ყელსაბამებს სატრფოსათვის“, საოჯახო რელიკვიებს, მოგონებებსა და ხსოვნას, წარსულსა და აწყმოს და ბურუსში ჰხვევენ მომავალს, რომელიც ჯერ კიდევ არ არის პერსონაჟი და ჩვენი ჭუჭყიანი და ხმაურიანი ქუჩის ბოლოში დატუქსული ბავშვივით ატუზულა“...

ლოგიკურია დასკვნა:

„თბილისი ქალაქია, სადაც ყველაფერი იყიდება“!..

დავამატებდი: თბილისი ის ქალაქია, რომელიც დღითიდღე მათხოვრებად ქცეული ბავშვებით, უპოვარი და უსახლკარი მოხუცებით, ფსიქიურად დაავადებული ადამიანებითა და მეძავებით, უმუშევრებითა და დამშეული ხალხით ივსება!..

ივსება ბაზრებით!.. ყოველი ქუჩა, უბანი თუ შესახვევი ათასფერად აჭრელებული ჯიხურებით...

ივსება დარდით, ტკივილითა და უმწეობით!..

ივსება სურვილით, რაც შეიძლება მალე მოშორდე უსუსურობას, გაექცე მწარე სინამდვილეს და თუნდაც, „გადასაკარგავში“ წახვიდე!..

გაჭირვებამ და გაუსაძლისმა პირობებმა აიძულეს ქართველი ქალები რომ უცხოეთში ძიძობით ირჩინონ თავი...

ქართველი ჭაბუკები თავიანთი სიცოცხლის ულამაზეს წლებს ევროპის ქუჩებსა და სასტუმრო-ოფისების საპირფარეშოების გასუფთავებას „სწირავენ“!..

და კიდევ, ჩვენი ერის ტრაგედიის მორიგი გვერდი: თურქეთში ქართველი ქალების ნამუსი და ღირსება სულ რაღაც ორიოდე გროშად იყიდება!..

ჩუმად, უსიტყვოდ, უთქმელად ცარიელდება ქალაქი!..

ცარიელდება და ქართველებს შორეულ უცხოეთშიც მშობლიური მიწის სითბო-მადლი სევდად, ტკივილად და სულისშემძვრელ დარდად მიყვებათ!..

ამიტომაცაა, საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული გოგო-ბიჭების სატელეფონო საუბრებთან ერთად ჩუმი ქვითინიც მოისმის – იცრემლებიან, ნოსტალგია აგვედევნაო...

შესაძლოა მავანი შემემოდაოს და თბილისის ცხოვრების საპირისპირო სურათად წარმოგვიდგინოს ქალაქის პრესტიჟულ უბნებში აგებული სასტუმროებისა და კაზინოების, სუპერმარკეტებისა და რესტორნების სიმრავლე...

ჩვენს მიზანს არ შეადგენს მათზე ყურადღების შეჩერება. ამჟამად უმთავრესი საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის (რომელთათვის ადამიანური სრულყოფილების შეგრძნების ყველა კარი დახშულია) ცხოვრებისეული პირობების წარმოჩენაა და მისი ყოველდღიურობის მწუხარე ფონს ვერ ცვლის აღნიშნული დაწესებულებების სიჭარბე.

√ მარინა ჩიტაია

**P.S.** წინასაარჩევნო კამპანიის დროს „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ გვარწმუნებდნენ, რომ თბილისს გაჭირვებისა და უმწეობის სამოსელს მოაცლიდნენ. გვთავაზობდნენ ცხოვრებისეული პირობების ძირფესვიანად შეცვლის გეგმას და ლამის იყო, რუკაზედაც შეუძლიათ საჩვენებლად „სტაბილურობიდან (?!) კეთილდღეობისაკენ მიმავალი გზა“.

მაშინ ამაო დაპირებებით თავმობეზრებულს ბევრს ეჭვად და ჩუმი ქირქილითაც დასცდა: „მე რომ შენ გიცნობ, ოსტატო, ციხეს ვერ ააშენებო“...

მრავალიც „მიენდო“...

ცხადია, ჩვენ არა გვაქვს სხვათა არჩევანის განსჯის უფლება. სისწორე-სიმრუდეს, მართალს და მტყუანს მხოლოდ და მხოლოდ მომავალი განსაზღვრავს... შესაძლოა, უახლოესიც!..

# იცნობ მეზობელს?! ჩასწვდომიხარ ღირსებას მისას?!

## წერილი 7. ხელშეკრულება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ და რუსეთი

70-იან წლებში ჰელსინკის პროცესის ფარგლებში დაიწყო მოლაპარაკებები ყოფილ საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებში სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემცირების, აგრეთვე ევროპის მთელ ტერიტორიაზე – ატლანტიკიდან ურალამდე – ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ძირითადი სისტემების საერთო შემცირებისა და ორ დაპირისპირებულ ბლოკს (ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციასა და ნატოს) შორის რაოდენობრივი გათანაბრების შესახებ.



პირველი მიმართულებით მოლაპარაკებების შედეგად 1991 და 1992 წლებში დაიდო ორი ხელშეკრულება START-I და START-II (რუსული აღნიშვნით CHB-1 და CHB-2), რომელთა სრულად შესრულების შემთხვევაში ბირთვული ქონების საერთო რაოდენობა 1991 წლის 22260-ზე მეტი ერთეულიდან 2003 წლისათვის უნდა შეამცირონ 6500-6700 ერთეულამდე, ასევე მათი მიტანის საშუალებებისა – 4830-ზე მეტი ერთეულიდან გაცილებით უფრო დაბალ დონეზე ოპტიმალურ მისაღებ რაოდენობამდე (თითოეული მხარის სურვილის მიხედვით).

მეორე მიმართულებით მოლაპარაკებები დასრულდა ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის (ამჟამად ორგანიზაციის – ეუთო) ეგიდით 1990 წლის 19 ნოემბერს პარიზში ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების დადებით (Treaty on Conventional Forces in Europe - CFE). აღნიშნული ხელშეკრულების ძირითადი მიზანი იყო ჩრდილოატლანტიკურ ალიანსსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციას შორის ძალთა ბალანსის გაცილებით უფრო დაბალ რაოდენობრივ დონეზე დამყარება, რასაც უფრო უსაფრთხო და სტაბილური ვითარება უნდა შეექმნა ევროპაში და მინიმუმამდე შეემცირებინა რომელიმე ბლოკის მხრიდან მოულოდნელი თავდასხმის განხორციელებისა და მსხვილმასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების გაშლის შესაძლებლობა.

თუკი 80-იანი წლების მიწურულს ვარშავის პაქტის გაერთიანებულ სახმელეთო ჯარებს 2-2,5-ჯერ მეტი შეიარაღება გააჩნდა ნატოს სამოკავშირეო სახმელეთო ჯარებთან შედარებით, მაგალითად 56000 საბრძოლო ტანკი ნატოს 23700

გაგრძელება მე-10 გვ

თვალსაზრისი

# ვის აძლევს ხელს, ჩვენი წინაპრების შეურაცხყოფა და ეროვნული თვითშეგნების დისკრედიტაცია?

გაგრძელება. დასაწყისი საქართველო №45 (1999 წ.)

*ღია წერილი ბატონებს მ. კაცელაშვილს და ვ. ხორანაულს*

იმ ეპოქაში, როდესაც საქართველოში გვარი სავალდებულო ხდება (XI-XIII სს) და ქართლელების ეგრისში გადმოსვლით ყალიბდება ქართულენოვანი რეგიონი – იმერეთი, იქ მცხოვრებ მეგრელებს გვარები ჰქონდათ, თორემ მათაც ზოგადქართული სტილის „ძე“-ზე და „შვილზე“ დამთავრებული გვარები ექნებოდათ.

– ბევრია მეგრულ-ლაზურიდან გადაკეთებული გვარები, თოფურია-თოფურიძე (თოფური მეგრულად თაფლია), ხუჯია-ხუჯაძე (ხუჯი – მხარი), ტორონჯია-ტორონჯაძე (ტორონჯი-მტრედი), ხოჯავა-ხოჯაშვილი (ხოჯი-ხარი), მანჯავიძე (მანჯა-მკლავი), მიქაია-მიქაძე, მოსია - მოსიძე, წულუკია-წულუკიძე, წულაია-წულაძე და ა.შ.

გეგეში-გეგეშიძე, ნაკაშიძე, გურეშიძე, ყიფშიძე, დათეშიძე, დურმიშიძე, ოყროშიძე და ა.შ. ყველა იმერული გვარი, რომელშიც „ში“ კუთვნილების მარცვლის შემდეგ დამატებულია „ძე“ დაბოლოება, ლაზურიდან გადაკეთებული გვარია.

გარდა ამისა, დღეს აფხაზეთში ცხოვრობენ ლაზური გვარის წარმომადგენლები, სამწუხაროდ, ისინი თითქმის ყველანი აფხაზად იწერებიან.

ამ გვარის ხალხი აფხაზეთში მოხვდა დასავლეთ საქართველოს ერთიან სამეფოში ლაზების ზეობის ეპოქაში (V-VI სს).

ვფიქრობ, მათ მაშინ გვარები ჰქონდათ, თორემ მათაც აფხაზეთში გავრცელებული სპეციფიკური მეგრული გვარები ექნებოდათ.

სხვათა შორის, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, უძველესი გვარია ბალვაში (VIIIს.), იმ ეპოქის ძლიერი ფეოდალური გვარი.

ყოველ შემთხვევაში, ლაზ-მეგრელებს, სვანებს, მთიულებს როდიდან აქვთ გვარები, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ის მოვლენა, რომ საქართველოში XI-XIII საუკუნეებიდან დაკანონდა გვარის ინსტიტუტი, ეს იშვიათი მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში.

სამწუხაროდ, ეს არ იცის არათუ მსოფლიოს საზოგადოებამ, არამედ ქართველმა ხალხმაც.

მართალია, გვარებზე იწერება შრომები, ნარკვევები, მაგრამ არ შეიქმნა ამ თემაზე სრულფასოვანი, აკადემიური დონის ნაშრომი.

სწორედ ასეთი ნაშრომის უქონლობამ ერთ-ერთი საშინელი როლი ითამაშა აფხაზურ მოვლენებში, ვინაიდან მეგრულ-აფხაზურ გვარებში არსებულმა გაუგებრობამ მისცა საშუალება ანტიქართულ ძალებს ხელოვნურად დაემკვიდრებინათ ცნებები ე.წ. „აფხაზური ეთნოსი“ ე.წ. „აფხაზური გვარი“, ე.წ. „აფხაზური ერი“.

ეს რომ არა, დარწმუნებული ვარ, აფხაზური ტრაგედია არ მოხდებოდა.

ამდენად, საქართველოში გვარის ინსტიტუტს დიდი ხნის ისტორია აქვს, რასაც აღიარებენ უცხოელი მეცნიერებიც.

ეს ჩვენი ღირსეული წინაპრების დამსახურებაა, რომელსაც სათანადო დაფასება სჭირდება.

და ამ დროს საქართველოში მოინახა მეცნიერებაზე პრეტენზიის მქონე პიროვნებები, რომლებიც ცდილობენ ამ მოვლენის დისკრედიტაციას, რაც მე აღვიქვი ქართველ კაცში არასრულფასოვნების კომპლექსის გაღვივების მცდელობად.

მე ამ კატეგორიის ხალხის ფსიქიკას ვერ ჩავხვდი, რა აიძულებთ მათ შეურაცხყოფა მიაყენონ ჩვენი ღირსეული წინაპრების დამსახურებას და გული ატკინონ მშობლიურ ერს.




1994 წელს გამოქვეყნებულა ვინმე ვ. ხორანაულის ნარკვევი თუ ნაშრომი – „ქართული გვარსახელების საკითხი, ონომასტიკური კრებული“, სადაც ავტორი “ორიგინალურ“ აზრს გვთავაზობს – „ქართველებს გვარები საერთოდ არ გვქონდა და სულ ახლახანს, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ის რუსებმა დაგვიკანონეს და მისი ფორმირება საბოლოოდ XX საუკუნის 30-იან წლებში მოხდა“.

რა არის ეს? – თუ ვ. ხორანაული ამაში დარწმუნებულია და იმიტომ წერს, მას წარმოდგენა არ ჰქონია არც გვარის ინსტიტუტის ისტორიაზე და არც საქართველოს ისტორიაზე, მაგრამ თუ იცის და შეგნებულად არასწორს ამბობს, ეს პროვოკაციაა, რომელიც, ეტყობა, რაღაც ბოროტ მიზანს ისახავს.

მას უნდა სცოდნოდა, რომ რუსები ვერ დაუკანონებდნენ ქართველებს გვარებს, ვინაიდან XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში არ იყო გვარი საყოველთაო სავალდებულოდ დაკანონებული, რასაც თვითონ რუსები აღიარებენ.

ერთადერთი შემთხვევა, როცა რუსებმა ასეთი რამ გააკეთეს, მოხდა აფხაზეთში, როდესაც XIX საუკუნის ბოლოს რუსებმა ეროვნების ფუნქცია დააკისრეს ცნება „აფხაზს“ და ამ ახალი ეროვნების ხალხად გამოაცხადეს აფხაზეთში ბოლო ორი-სამი საუკუნის განმავლობაში ჩამოსული ჩრდილო კავკასიის ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები და მათ მისცეს მეგრული გვარები, მხოლოდ იმ ფორმით, როგორც ისინი ხალხში იხსენიებოდა, ვინაიდან მანამდე მათ გვარები არ ჰქონდათ და ეს იმიტომ გააკეთეს, რომ იძულებული იყვნენ, რადგანაც საქართველოში ყველა კუთხის ქართველებს გვარები ჰქონდათ.

მე ეს ნარკვევი არ წამიკითხავს და არც სურვილი მქონია ამ უაზრობის წაკითხვის, მითუმეტეს, მას საკადრისი პასუხი გასცა ბ-ნმა როლანდ თოფჩიშვილმა თავის ნაშრომში „როდის წარმოიქმნა ქართული გვარ-სახელები“, მაგრამ ნამდვილად ვერ აღვიქვი, თუ როგორ შეიძლებოდა ეს დაეწერა ქართველ კაცს და გაებედა ის საზოგადოების სამსჯავროზე გამოეტანა, ან უბრალოდ, როგორ შეძლო რედაქტორის მონახვა, ვის ეყო სინდისი, მასზე ხელი მოეწერა.

ამ კატეგორიის მოვლენას განეკუთვნება მ. კაცელაშვილის მიერ გამოცემული იოანე ბაგრატიონის (1768-1830წწ) – „შემოკლებითი აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“.

იოანე ბაგრატიონი, ერეკლე II-ის შვილიშვილი, თავისი ეპოქის ერთ-ერთი განათლებული პიროვნება იყო, მწერალი, ლექსიკოგრაფი, მეცნიერი, მაგრამ გვარების საკითხში ის ნამდვილად არ შეიძლება ჩაითვალოს კომპეტენტურად, იმდენად პრიმიტიულია მისი ნაშრომი, ის ყოველგვარ მეცნიერულ და ისტორიულ ღირებულებას მოკლებულია.

ამას ადვილად მიხვდება ნებისმიერი საღად მოაზროვნე პიროვნება, ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც არათუ იმ ეპოქაში, არამედ დღესაც ვერ გახდა გვარის საკითხი ღრმა მეცნიერული შესწავლის ობიექტი.

და ამ დროს მ. კაცელაშვილი მოძღვრავს საზოგადოებას – „ამ ნაშრომით მკითხველი გაეცნობა იმ ისტორიულ მასალას, რომლის გარეშეც შეუძლებელია საქართველოს წარსული ისტორიის სრულყოფილი შეცნობა“ – ამ დასკვნის გამკეთებელ კაცს, ან საერთოდ წარმოდგენა არა აქვს ისტორიაზე, ისტორიული წყაროების მნიშვნელობაზე და გვარის ინსტიტუტზე, ან მიზნად აქვს დასახული ქართველ კაცს შეურყიოს წარმოდგენა თავის გვარზე და თავის ქართულ წარმომავლობაზე.

როგორ შეიძლება იოანე ბაგრატიონის ნუსხას რაიმე მეცნიერული და ისტორიული ღირებულება ჰქონდეს, როდესაც მას არც ერთი გვარის წარმოქმნის არც ერთი წყარო მითითებული არა აქვს, მისი მოსაზრებები თავადაზნაურულ გვარებზე, მაღალი წრის სალონებში გავრცელებული ჭორების ასოციაციებს იწვევს, როდესაც დიდგვაროვანი ხალხი ერთმანეთს უგონებდა, სრულიად უსაფუძვლო ვერსიებს მათ გენეალოგიაზე.

თუ არადა, ამ ნუსხის მიხედვით საქართველოში თითქმის არ ყოფილა თავადაზნაურული გვარი, რომელსაც ქართული წარმომავლობა აქვს, ეს ეხება არა მარტო ქართლ-კახეთის დიდებულ გვარებს, არამედ დასავლეთ საქართველოს წარჩინებულ გვარებსაც.

მსოფლიოში მონოეთნიკური ერები თითქმის არ არსებობენ და ჩვენი ერიც არ არის უცხო ელემენტებისაგან დაზღვეული.

მართლაც არის საქართველოში გვარები, რომელთა უცხო წარმომავლობა ცნობილია, მაგრამ მათი რაოდენობა უმნიშვნელოა, ხალხისთვის თითქმის ყველა ცნობილია, მათ არ ჩამოვთვლი, რომ ასეთი გვარების მქონე ხალხს გული არ ვატკინო, მით უმეტეს, დღეს მათ არავისზე ნაკლები პრეტენზია არა აქვთ ქართველობაზე. არის ჩვენთან გვარები – ბერძენიშვილი, ფრანგიშვილი, თურქესტანიშვილი, თურქია, ლეკიშვილი, ჩერქეზიშვილი, ჩერქეზია, ხაზარაძე, სომხიშვილი, ებრალიძე, რომელთა შორეული წინაპრები, მართლაც შეიძლება ამ ერების წარმომადგენლები იყონ, ან ქართველი კაცი ცხოვრობდა ამ ქვეყნებში და საქართველოში დაბრუნებისას მიეცა ასეთი გვარები, რის გამოც სავარაუდოა მათ უმრავლესობას ქართული წარმომავლობა ჰქონდეს.

არ მინდა შეურაცხყვო იოანე ბატონიშვილის პიროვნება, მისი ერის წინაშე დამსახურება, მაგრამ მისი ნუსხა ყოველგვარ რეალურ საფუძველს მოკლებულია და ნებსით თუ უნებლიედ, შეურაცხყოფას აყენებს ჩვენს ღირსეულ წინაპრებს, როდესაც თითქმის ყველა თავადაზნაურულ გვარს არაქართული წარმომავლობის გვარად მიიჩნევს.

მართალია, ის უაღრესად თავდაჯერებული, ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე წერს ამაზე, მაგრამ გამორიცხულია მას სცოდნოდა ამ გვარების ისტორია ფარნავაზის ეპოქიდან (ძვ.წ. IIIს.) XIX საუკუნემდე.

ჯერ ერთი, მას გვარებზე არავითარი წერილობითი წყარო არ გააჩნდა, მეორეც – ქართლ-კახური გვარების წარმოქმნა ძირითადად XI-XIII საუკუნეებში მოხდა, მანამდე გვარები მხოლოდ ერთი თაობა არსებობდა, შვილის გვარს მამის სახელი ედო საფუძვლად.

რაღა შორს წავიდეთ, არათუ ძვ.წ.ა. III საუკუნის გვარები ვიცით, არამედ ერის სიამაყის, შოთა რუსთაველის გვარი არ ვიცით, და არა იმიტომ, რომ მისი გვარი არ შემორჩა ისტორიას, არამედ იმიტომ, რომ ეტყობა, დიდ რუსთაველს ტრადიციული, მუდმივი გვარი არ ჰქონდა.

სწორედ მუდმივი გვარების უქონლობით იყო გამოწვეული, რომ წარჩინებული პიროვნებები გვარ-ფსევდონიმებად ილებდნენ მშობლიური ადგილის დასახელებას – რუსთაველი, ხანძთელი, ხონელი, თორელი, გაგელი, ჭყონდიდელი და ა.შ.

და თუ რომელიმე ერისკაცის გვარი ნაწარმოები იყო მამის სახელიდან – საბანისძე, ჩახრუხაძე და სხვა, ისინი მათ შთამომავლობას გვარად არ შემორჩენია.

ამდენად, არათუ იოანე ბატონიშვილის ეპოქაში (XVII-XIX სს), არამედ დიდი რუსთაველის ეპოქაშიც კი, შეუძლებელი იყო დაედგინათ, მათი შორეული წინაპარი რა გვარს ატარებდა.

მიუხედავად ამისა, ის ისე დამაჯერებლად გვიყვება ამა თუ იმ წარჩინებული გვარის ისტორიაზე, თითქოს უტყუარ დოკუმენტს ფლობდეს.

√ ანზორ შონია

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# ქართველი ოფიცრის ნაამბობი

## ანუ

## სამხედროების „მოთვინიერება“ საქართველოში (ვაჟა-ფშაველას „შვლის ნუკრის ნაამბობის“ მიხედვით)

მე-6 გვერდიდან.

ნია, რომ მოგცენ კიდეც, ოთხმოცი ლარით შეინახავ ოჯახს? მეზობლებს მაინც შეხედე, ყველაზე ცუდად ჩვენ ვცხოვრობთ. ან ეს ცხოვრებაა? გაიხურავ დილით კარს და გადიხარ! თუ გიფიქრია, რომ ყოველდღე მოდიან, დენის, გაზის გადასახადს მთხოვენ. საიდან გადავუხადო, რატომ არ კითხულობ? რისთვის დადიხარ სამსახურში, რას გაძლევენ? შევარცხვინე შენც და შენი სამსახურიც! – გაიხადე, აღარ განახო მაგ დასაწვავ ფორმაში, მეზიზღებით შენც და შენი სამსახურიც, ამოწყდენ ეგენი!“ – დააყოლა გულამომჯდარმა ვიღაცის მისამართით და მეორე ოთახში გავარდა ტირილით...

...„როგორ გავხადოთ ჯარში სამსახური პრესტიჟული...“ – ამოტივტივდა მეხსიერებაში სადღაც ამოკითხული ფრაზა. აქ ვართ მზა პასუხი: მე და ჩემი ოჯახი. ასეთ უნუგეშო, მძიმე სოციალურ პირობებში სამხედროთა ოჯახების ჩაყენებით სასაცილოა ჯარში სამსახურის პრესტიჟულობაზე საუბარიც კი!“ – ამ ფიქრმა წამით გამიელვა გონებაში. შემოვბრუნდი, იქვე ბავშვი იჯდა ნამტირალევი თვალებით. მისგან გავიგე: დენის გადასახადზე მოსულან. სახლში მარტო ბავშვი ყოფილა და კარი არ გაუღია. კარის შემტვრევა უცდიათ, ბავშვი შეუშინებიათ და მუქარით უკან გაბრუნებულან. სახლში მისულ მეუღლეს ხელთ შეშინებული და ატირებული ბავშვი შერჩენია.

მეორე დღეს, გათენებისთანავე, პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი კანონით იმ ხალხს მივაკითხე. მათ მიმიღეს, მომისმინეს, მირჩიეს ნერვები დაეოკებინა და მეფიქრა გადასახადის დროულად, ყოველგვარი შეღავათის გარეშე გადახდაზე: სისტემა კერძო საკუთრებაშია და პრეზიდენტის ეგ ბრძანება ჩვენ არ გვეხებაო (?!)

– „კი, მაგრამ სამსახურში ხელფასი არ ამიღია-მეთქი“ – ამაზეღა დავყარე იმედები, მაგრამ არც ამან გაჭრა.

– „ეგ შენი პრობლემაა. თუ არ გადაიხდი გამოგირთავთ!“ – დამემუქრენ აქეთ. მივხვდი, არ ხუმრობდნენ და... წამოვედი უკან კიდევ უფრო გულდამძიმებული და დამცირებული. „სადამდის უნდა იყოს ქვეყანა ასე უპატრონოდ, რატომ ლახულობენ კანონებს, რომლებსაც არავინ იცავს? სწორედ ესაა მიზეზი, რომ სამხედრო პირები აბსოლუტურად დაუცველებია და რომ ჯარში ქაოსი, თვალთმაქცობა და განუკითხაობაა გამეფებული, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

და იბადება მრავალი კითხვა, რომლებიც აუცილებელ პასუხს მოითხოვენ, კერძოდ: რატომაა, რომ ბ-ნი პრეზიდენტი მამობრივი მზრუნველობით ეკიდება 75 ათასიან „მშობლიურ პოლიციას“ (მისი სიტყვებია), მასზე სამჯერ მცირე ჯარი კი ზედმეტად მიაჩნია და მინისტრთან ერთად მის კიდევ უფრო შემცირებაზე საუბრობს? რატომაა, რომ უაღრესად მტრულ, ფეთქებად გარემოცვაში მყოფი ჯარის ოფიცრები და ზემდეგები ხელისუფლებას უყურადღებოდ და უხელფასოდ ყავს მიტოვებული? ვის აძლევს ყოველივე ეს ხელს?

და კიდევ კითხვები: საით იყურებიან ამდენი პარტიები, ეროვნულობაზე რომ დებენ თავს? სად არიან მათი ლიდერები შემძვრალი? რატომაა გაჩუმებული ი. სარიშვილი? ის ხომ ისე ვერ იტანს „უსამართლობას“ და „დიქტატურას“, რომ „ჩაუშესკუს“ ყვირილით დაამხო კიდეც არასასურველი (თავისთვის) ხელისუფლება! სადაა ი. წერეთელი, რომელიც მას ბანს აძლევდა? რატომ არიან გალახული, შეშინებული ბავშვებივით გასუსული? სად გაქრა მათი „სიმამაცე“, ვინ შეაშინათ?

ეს კითხვები ბუნებრივად ჩნდება და პასუხს ითხოვენ. თუმცა ამისი იმედი ტყუილად გვექნება – პასუხს არავინ გაგვცემს. მაგრამ არ იქნება ურიგო თვითოეულმა ქართველმა, თუნდაც მხოლოდ საკუთარ ცნობიერებაში გასცეს სწორი პასუხი ამ კითხვებს! ისინი ალბათ ასეც მოიქცევიან!

**P.S.** წერილი ნამდვილ ფაქტებზეა აგებული. მისი მიზანია – მიაქციოს ყველა დაინტერესებული პირის ყურადღება ქართული ჯარის სავალალო მდგომარეობას. იმას, რომ კავკასიაში მოვლენების სწრაფი, ვულკანური განვითარების პირობებში როგორი დანაშაულებრივი გულგრილობით ეკიდება ხელისუფლება ქვეყნის ძლიერებისა და სუვერენიტეტის ერთადერთი გარანტის – ქართული ჯარის პრობლემებს, როგორ ილახება სამხედრო მოსამსახურეთა მხედრული ღირსება, მათი ოჯახური ინტერესები, როგორ ამცირებენ მათ არა მარტო გარეშეთა, არამედ მეუღლისა და შვილების თვალშიც.

წერილის მიზანია შეახსენოს ზოგ-ზოგებს, რომ ჯარისადმი ასეთ გულგრილ დამოკიდებულებას შეუძლია გამოუსწორებელ შედეგებამდე მიიყვანოს ქვეყანა, როგორც ეს მოხდა ე.წ. „გალის მოვლენების“ დროს: ბრძოლისუნარიანი ჯარის საჭიროება რომ დადგა დღის წესრიგში, ხელისუფლებამ მხოლოდ ის „მოახერხა“, რომ ... ხელები გაშალა და საქვეყნოდ განაცხადა: „რა ვქნათ, ომისთვის მზად არა ვართო (?!)“.

მათ შესანიშნავად უწყიან, რომ ჯარი არასოდეს არ იქნება მზად ომისათვის, თუ ის არ შემოსე, არ აღჭურვე, არ შეიარაღე და არ დააპურე!

მაშ, რატომ არიდებენ ამის გაკეთებას თავს?

√ ნუგზარ ხიდაშელი
ქართველი ოფიცერი

# ძვირფასო მკითხველებო!

მე-2 გვერდიდან.

მკითხველამდე მივიტანოთ.

გაზეთის ტრადიციულ მკითხველს არ უნდა იმისი შეხსენება, რომ „საქართველო“ გამოირჩევა ღრმა პატრიოტიზმით, საქვეყნო სატკივარის, საგარეო თუ შიდა პოლიტიკის, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების ფართო ანალიზით. გაზეთის თემატიკა მრავალფეროვანია და ყოველი მათგანი მიმართულია იქითკენ, რომ გაშუქდეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანი მხარეები, მტკივნეული პრობლემები და შეძლებისდაგვარად, დაისვას მათი გადაჭრის კონკრეტული გზებიც. ამასთან, არც იმაზე ვხუჭავთ თვალს, თუ რამ კარგი საქმე გაკეთდა ობიექტურობის, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, მივესალმებით ყველა იმ ძალას, განურჩევლად მისი პოლიტიკური შეფერილობისა, რომელიც ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეს გააკეთებს.

მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში ე.წ. „ყვითელ პრესას“ უფრო აქვს დღეს გასავალი და გამონაკლისი არც საქართველოა. ჭორებზე, სკანდალებზე, სენსაციებზე, ყოფით წვრილმანებზე აგებული მასალებით გაჯერებული გაზეთები უფრო იზიდავს ობივატელს და შესაბამისად, მათი ტირაჟიც გაცილებით დიდია.

ისეთი სტილის გაზეთი, როგორიც „საქართველოა“, შეიძლება ერთადერთი იყოს დღეს ჩვენთან და ის ტრადიციულად აგრძელებს იმ კურსს, საუკუნის დასაწყისში ამ სახელწოდების გაზეთის დამფუძნებლებმა რომ დაამკვიდრეს. თუ რა სტილია ეს, თქვენ კარგად იცით და ამაზე ლაპარაკს აღარ გავაგრძელებთ.

ჩვენი უბედურება იმაშია, რომ საქართველოში არ არიან იმ დონის ქველმოქმედები, მეცენატები, როგორებიც იყვნენ სარაჯიშვილი, ზუბალაშვილები, ხოშტარია და სხვები. თუმცა, ფინანსები, კაპიტალი მათზე გაცილებით დიდი აქვთ, მაგრამ მათი ეროვნული ძარღვი, ეროვნული თვითშეგნება მიძინებულია და დაჩლუნგებული.

ალბათ, ამიტომაც არის, რომ იმ ადამიანებს (აქ მარტოდენ ჩვენ თავს არ ვგულისხმობთ), რომლებიც ეროვნული საქმისათვის თავდაუზოგავად, რუდუნებით იღვწიან, მათი შრომის, ღვაწლის დამფასებელი ნაკლებად ყავთ და უფრო უარესიც, ხშირად მათ არათუ ხელს უშლიან ამ თავიანთ მამულიშვილურ საქმეში, არამედ დევნიან კიდეც, რადგან დღეს ეროვნულობა ჩვენში სირცხვილად ითვლება და უფრო კოსმოპოლიტიზმია მოდაში.

ნათქვამია, სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავსო. ჩვენც ამის იმედი გვაქვს. ჩვენი ნაშრომ-ნაღვაწის შემფასებელი მომავალში მაინც გამოჩნდება და თავის პირუთვნელ სიტყვას იტყვის, თუმცა, სანამ მომავლამდე მივა საქმე, ვეცდებით, კვლავ გავაგრძელოთ ჩვენი მძიმე და ნარ-ეკლიანი, მაგრამ ქვეყნისთვის ესოდენ საჭირო საქმე და თუ ვინმე მადლიანი გამოჩნდა და ხელი შეგვაშველა, მადლობის მეტი რა გვეთქმის.

პატივცემულო მკითხველებო! გილოცავთ ქრისტეშობას, ახალი წლის დადგომას, გისურვებთ ჯანმრთელობას და იმედია, დიდსულოვნად მოგვიტევებთ იმ გულისტკივილით გაჯერებულ სიტყვებს, ზემოთ რომ უნებლიედ წამოგვცდა და რომელთა ადრესატიც, რა თქმა უნდა, თქვენ არ ბრძანდებით.

პატივისცემით
გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია

# სოციალურად დაჩაგრულ ადამიანთა არმიას შსს პენსიონერებიც შეუერთდნენ

„სადამდე შეიძლება ითმინო უსამართლობა, იდგე და თვალებში უყურო მას, როცა ხედავ, რომ ქვეყანა ჩანაგდება კორუმპირებულ ჩინოვნიკთაგან, ჩვენ კი უკვე ათი თვის პენსია გვაქვს მიუღებელი“ – ეს გახლავთ ამონაწერი იმ მიმართვიდან, რომელიც 13 იანვარს მოწყობილ პრესკონფერენციაზე გააკეთა შსს პენსიონერთა საინიციატივო ჯგუფმა.

უკვე რამოდენიმე თვეა, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს პენსიონერთა გარკვეული ჯგუფი სისტემატურად აკითხავს სამინისტროს საპენსიო განყოფილებას. ფინანსთა სამინისტროსა და ეროვნული ბანკის ადგილობრივ განყოფილებებს, მაგრამ ამაოდ. მიუხედავად უამრავი დაპირებებისა, შსს პენსიონერებს აუღებელი აქვთ 1998 წლის 5 თვის, 1999 წლის 4 თვის კუთვნილი პენსია.

საინიციატივო ჯგუფი მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს ბ-ნ ე. შევარდნაძეს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბ-ნ ზ. ჟვანიას და საქართველოს შს მინისტრს ბ-ნ კ. თარგამაძეს, – რომელსაც უშუალოდ ეხება პენსიონერთა კანონით დაწესებული შეღავათების რეალური განხორციელება – დააკმაყოფილონ პენსიონერთა მოთხოვნები საპენსიო დავალიანების დაფარვასთან დაკავშირებით უახლოეს ათ დღეში.

– ჩვენ ყველაზე კარგად ვიცით კანონით ცხოვრება, რადგან თითოეულმა ჩვენთაგანმა ცხოვრების დიდი ნაწილი კანონის დაცვის სადარაჯოზე გაატარა, მაგრამ თუ ჩვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, ჩვენ მივმართავთ კანონის საწინააღმდეგო ქმედებებს: გაფიცვებს, პიკეტებს და ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა დაეკისრება იმ ადამიანებს და სტრუქტურებს, რომელთაც ჩვენ მიგვიყვანეს ამ ზომამდე, აღნიშნა შსს პენსიონერთა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა თემურ კოზოლაშვილმა.

1. მოვითხოვთ სასწრაფო პასუხს ხელისუფლებისაგან პენსიების დაგვიანების მიზეზების შესახებ;

2. სახელმწიფომ უმოკლეს ვადაში დაფაროს შსს საპენსიო დავალიანებები;

3. უზრუნველყოფილი იქნეს სახელმწიფოს მიერ პენსიონერთათვის კანონით დაწესებული ყველა შეღავათების რეალური განხორციელება.

საინტერესოა, ეხლა, როცა წინასაპრეზიდენტო არჩევნებისათვის უზარმაზარი კამპანია ჩაღდება, და თან ყველა ხაზინის დაცარიელებაზე საუბრობს, როდის და როგორ გაისტუმრებს სახელმწიფო ამდენ გაუცემელ პენსიებს და ხელფასებს.

√ ვ. გვარჯალაძე

1995 წელს ქ. პეკინში ინტერპოლის გენერალურ ასამბლეაზე პირველად მონაწილეობდა საქართველოს წარმომადგენლობა. ასე რომ, სულ ხუთი წელია, რაც საქართველოში მსოფლიოს მიერ აღიარებული ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიურო ჩამოყალიბდა. ვფიქრობთ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება მოვუთხროთ ამ ორგანიზაციის შექმნის ისტორია, მისი საქმიანობა და ფუნქციები.

ინტერპოლის საქმიანობა 1914 წლიდან იწყება, როდესაც მონაკოში შეიკრიბნენ სამართლის ექსპერტები და პოლიციის ოფიცრები 14 სხვადასხვა ქვეყნიდან საერთაშორისო კრიმინალური პოლიციის პირველ კონგრესზე. კონგრესები კი იმართებოდა ოთხ წელიწადში ერთხელ ქ. ვენაში. 1938 წელს გერმანიის მიერ ავსტრიის ოკუპირებამ გაანადგურა დამნაშავეთა კართოთეკები, საბუთები და ამით დასრულდა მისი არსებობა. მეორე ომის შემდეგ ევროპისა და ამერიკის პოლიციათა ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს კვლავ აღედგინათ საერთაშორისო პოლიციური ორგანიზაცია და 1948 წელს ქ. ბრიუსელში გადაწყდა, რომ ის შტაბ-ბინას დაიდებდა პარიზში. 1956 წელს ორგანიზაციამ შეიცვალა სახელწოდება და დაირქვა კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაცია – ინტერპოლი. 1989 წლიდან მისმა შტაბბინამ გადაინაცვლა ქ. ლიონში (საფრანგეთი).

ორგანიზაციის უმაღლეს მმართველ ორგანოს წარმოადგენს გენერალური ასამბლეა, რომელიც შედგება წევრი ქვეყნების მთავრობების მიერ წარგზავნილი დელეგატებისაგან. ასამბლეის გადაწყვეტილებები ხორციელდება აღმასრულებელი კომიტეტების მიერ. ინტერპოლის მუდმივმოქმედ ორგანოს წარმოადგენს გენერალური სამდივნო, რომელსაც ხელმძღვანელობს გენერალური მდივანი და აპარატი. აპარატის წევრებს წარმოადგენენ წევრი ქვეყნების პოლიციის ოფიცრები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობენ. ინტერპოლი თავის საქმიანობას ახორციელებს ეროვნული ცენტრალური ბიუროების (ეცბ) მეშვეობით. ეცბ არის ინტერპოლის სრულუფლებიანი წარმომადგენელი და ნდობით აღჭურვილი ორგანო ქვეყანაში, რომლის მეშვეობითაც ორგანიზაცია ახორციელებს კავშირს ქვეყნის კომპეტენტურ უწყებებთან. იგი უნდა ასრულებდეს აგრეთვე საერთაშორისო საპოლიციო თანამშრომლობის ცენტრის ფუნქციას ქვეყანაში.

# [illegible]

## ინტერპოლი მუშაობს




ეცბ-ს ძირითადი ამოცანაა დაამყაროს ურთიერთობა: ქვეყნის სხვადასხვა სამართალდამცავ ორგანოებთან და შესაბამის უწყებებთან. ეროვნულ ცენტრალურ ბიუროებთან; ორგანიზაციის გენერალურ სამდივნოსთან. ერთი სიტყვით, ეს არის სამართალდამცავი ორგანოების და სხვა კომპეტენტური უწყებების საერთაშორისო ცენტრი. ინტერპოლის გენერალური სამდივნოს მიერ დაწესებულია 17 მოთხოვნა, აუცილებელი პირობა მისი ფუნქციონირებისათვის.

ინტერპოლის ეროვნულ ცენტრალურ ბიუროს საქმიანობაში შედის, აგრეთვე, საერთაშორისო ძებნითი სამუშაოები. რაც გულისხმობს დამნაშავის ძებნას სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ. მათი ძებნა ხდება ექსტრადაციის (გადმოცემის) მიზნით, ამასთანავე ხორციელდება უგზოუკვლოდ დაკარგულთა, დაკარგული ფასეულობების და ავტომანქანების ძებნა.

ინტერპოლში ურთიერთობა ოთხი ენის მეშვეობით ხდება. ესენია: ინგლისური, ფრანგული, ესპანური და არაბული ენები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დადის ხმები, თითქოს უგზო-უკვლოდ დაკარგულის მოძიებისათვის საჭიროა სოლიდური თანხის გადახდა, რაც ინტერპოლის ეროვნულ ცენტრალურ ბიუროში კატეგორიულად უარყვეს. იმისათვის, რომ დაინტერესებულმა პირმა მოიძიოს მოქალაქე (ახლობელი, ნათესავი), მან უნდა მიმართოს რაიონის პოლიციას განცხადებით, რის საფუძველზეც მოიკვლევენ მასალებს. სავარაუდო ადგილსამყოფელის დადგენის შემდეგ, შსს მასალებს გადასცემს ინტერპოლის ეროვნულ ცენტრალურ ბიუროს. ეს უკანასკნელი კი შესაბამისად იმ ქალაქს, ქვეყანას, თუ მხარეს, სადაც შესაძლოა იმყოფებოდეს აღნიშნული პირი.

საქართველოს ეცბ-ში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იძლევა საშუალებას წამებში დამყარდეს კავშირი ინტერპოლის 177 წევრ სახელმწიფოსთან, მაგრამ ჭიანურდება სხვა ქვეყნებში დაკავებულთა ექსტრადიცია.

ინტერპოლის მიერ ძებნა ცხადდება ნებისმიერ პიროვნებაზე, რომლის საზღვარგარეთ მოძიებას აპირებს ქვეყანა. (აქ არ არის დადგენილი დანაშაულის რაღაც განსაკუთრებული კატეგორიები). დიდი ყოფილა ისეთი სახის დანაშაულობები, როცა საზღვარგარეთ ნაყიდი ავტომანქანა ნაქურდალი აღმოჩნდება. მყიდველმა უმეტეს შემთხვევაში არც კი იცის, რომ უცხოეთში მას მოპარული მანქანა ყალბი საბუთების მეშვეობით მიჰყიდეს. აღნიშნული საკითხი დასავლეთის ქვეყნებში ადვილად რეგულირდება, სადაც სადაზღვევო კომპანიების მეშვეობით ხდება კომპენსაცია. ჩვენთან კი საქმე გაცილებით რთულადაა.

უცხოეთთან ინტენსიური კავშირები რამდენადაც მისასალმებელია, იმდენად აქვს უკუჩვენება საერთაშორისო დანაშაულებრივ საქმიანობაში. დამნაშავეთა მიერ გახშირდა ერთი სახის დანაშაულის სხვადასხვა ქვეყანაში ჩადენის ფაქტები. ძებნილს ადვილად შეუძლია გაუჩინარდეს საზღვარგარეთ, ადვილად გადააგზავნოს ერთი ქვეყნიდან მეორეში უკანონო გზით მიღებული ფული. ასეთი პირების დაკავება ხდება მხოლოდ სხვადასხვა სახელმწიფოების სამართალდამცავი ორგანოების, თანამდებობის პირების თანამშრომლობითა და ინფორმაციის გაცვლით. ამ საქმიანობას კი ემსახურება საერთაშორისო ორგანიზაცია ინტერპოლი, რომელიც აადვილებს ძებნილის დროულ დაკავებას.

მათთვის, ვისაც სურვილი აქვს გახდეს ინტერპოლის თანამშრომელი, აუცილებელი პირობებია: გქონდეთ უმაღლესი განათლება, კარგად ფლობდეთ უცხო ენას (ფრანგულს ან ინგლისურს) და თავისუფლად უნდა შეგეძლოთ კომპიუტერთან მუშაობა.

P.S. გაზეთის შემდეგ ნომერში შევეცდებით შემოგთავაზოთ ინფორმაცია ინტერპოლის მიერ ამჟამად ძებნილ ქართველ დამნაშავეთა და დაკარგულ ფასეულობათა შესახებ.

მე-7 გვერდიდან.

# იცნობ მეზობელს?! ჩასწვდომიხარ ღირსებას მისას?!

## წერილი 7. ხელშეკრულება ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ და რუსეთი

ტანკის წინააღმდეგ, უკვე CFE ხელშეკრულების ძალით თითოეულ სამხედრო ბლოკს მთელ თავის ტერიტორიაზე ატლანტიკიდან ურალამდე შეეძლო ჰყოლოდა არაუმეტეს 20000 საბრძოლო ტანკისა, 30000 მოჯავშნული საბრძოლო მანქანისა, 20000 საველე საარტილერიო სისტემის (100-მმ და მეტი ყალიბის), 6800 საბრძოლო თვითმფრინავის და 2000 დამრტყმელი ვერტმფრენისა. ამ შეიარაღების უდიდესი ნაწილის განლაგება გათვალისწინებული იყო რეგულარულ საჯარისო ნაწილებში, შედარებით მცირე ნაწილისა – სპეციალურად მოწყობილ და მონიშნულ საწყობებში. შეზღუდვები არ ეხებოდა ურალის ქედის აღმოსავლეთით საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე და სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში თურქეთის ტერიტორიაზე განლაგებულ შეიარაღებას, ვინაიდან ეს ტერიტორიები CFE ხელშეკრულების მოქმედების ზონის გარეთ მდებარეობს.

თითოეულ სამხედრო ბლოკის ხელმძღვანელობამ მისთვის განკუთვნილი ჩვეულებრივი შეიარაღების კვოტები გადაანაწილა ამ ბლოკში შემავალი სახელმწიფოების შეიარაღებულ ძალებში. საკუთრივ ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში ჩვეულებრივი შეიარაღების გადანაწილება ნაჩვენებია ზემოთ ცხრილში.

გარდა ამისა, თითოეული ბლოკის ჩვეულებრივი შეიარაღების მაქსიმალური დონეები გადაანაწილეს გარკვეული ტერიტორიების მიხედვითაც. კერძოდ, თურქეთისა და ნორვეგიის დაყენებული მოთხოვნით, ნატოსა და ვარშავის პაქტის ჩრდილოეთით და სამხრეთ საფლანგო რაიონებში ძალთა პარიტეტის დასამყარებლად თითოეულ ამ სამხედრო ბლოკს ორივე საფლანგო რაიონში რეგულარულ საჯარისო ნაწილებში ჯამში შეეძლო ჰყოლოდა არაუმეტეს 4700 საბრძოლო ტანკის, 5900 მოჯავშნული საბრძოლო მანქანის და 6000 საველე საარტილერიო სისტემისა. გარდა ამისა, ვარშავის ბლოკის ტერიტორიაზე სსრკ-ს ოდესის სამხედრო ოლქსა და ლენინგრადის სამხედრო ოლქის სამხრეთ ნაწილში გაითვალისწინეს სპეციალური საწყობების მოწყობა ჯავშანტექნიკისა და საველე საარტილერიო სისტემებისათვის; ხოლო ნატოს სარდლობას ასეთი მარაგების შექმნა შეეძლო თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (ირანის, ერაყისა და სირიის საზღვართან მახლობელ რაიონებში – სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლია), რომელიც თავად CFE ხელშეკრულების მოქმედების ზონის გარეთ მდებარეობს და რაიმე შეზღუდვებს (გარდა ტერიტორიულისა) არ ექვემდებარება.

| ქვეყნები | შეიარაღებული ძალების რიცხოვნობა | საბრძოლო ტანკები | მოჯავშნული საბრძოლო მანქანები | საველე საარტილერიო სისტემები | დამრტყმელი ვერტმფრენები | საბრძოლო თვითმფრინავები |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 234000 | 1730 | 2150 | 1650 | 130 | 460 |
| უნგრეთი | 100000 | 835 | 1700 | 840 | 108 | 180 |
| ჩეხეთ-სლოვაკეთი | 140000 | 1435 | 2050 | 1150 | 75 | 345 |
| რუმინეთი | 230000 | 1375 | 2100 | 1475 | 120 | 430 |
| ბულგარეთი | 104000 | 1475 | 2000 | 1750 | 67 | 235 |
| სსრკ | 1450000 | 13150 | 20000 | 13175 | 1500 | 5150 |
| სულ: | 2998000 | 20000 | 30000 | 20000 | 2000 | 6800 |

საფლანგო რაიონებში ნატოს მხრიდან შევიდნენ ნორვეგია, ისლანდია, საბერძნეთი და თურქეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი (სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიის გამოკლებით), ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის მხრიდან – რუმინეთი, ბულგარეთი და ყოფილი საბჭოთა კავშირის ლენინგრადის, ოდესის, ჩრდილო-კავკასიისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქების ტერიტორიები. მათ შორის ჩვეულებრივი შეიარაღების გადანაწილება ნაჩვენებია ცხრილში: →

შენიშვნა 1. შეიარაღების ეს კატეგორიები საფლანგო შეზღუდვებში გათვალისწინებული არაა, აქ უბრალოდ უფრო სრულყოფილი ინფორმაციებისათვის მივაწოდეთ მკითხველს ნორვეგიის, საბერძნეთის, თურქეთის, ბულგარეთის და რუმინეთის საავიაციო შეიარაღების კვოტები. რაც შეეხება სსრკ-ს საფლანგო ტერიტორიებზე არსებული დამრტყმელი ვერტმფრენებისა და საბრძოლო თვითმფრინავების ჯამურ რაოდენობას, ეს მონაცემები ჩვენთვის უცნობია.

| ქვეყნები | საბრძოლო ტანკები | მოჯავშნული საბრძოლო მანქანები | საველე საარტილერიო სისტემები | დამრტყმელი ვერტმფრენები | საბრძოლო თვითმფრინავები |
|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 170 | 225 | 527 | 0 | 100 |
| ისლანდია | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| საბერძნეთი | 1735 | 2534 | 1878 | 30 | 650 |
| თურქეთი | 2795 | 3120 | 2775 | 103 | 750 |
| სულ ნატოში | 4700 | 5789 | 6000 | 133 | 1500 |
| ბულგარეთი | 1475 | 2000 | 1750 | 67 | 235 |
| რუმინეთი | 1375 | 2100 | 1475 | 120 | 430 |
| სსრკ | 1850 | 1700 | 2775 | - | - |
| სულ ვარშავის პაქტში | 4700 | 5900 | 6000 | - | |

გარდა ამისა, როგორც ვთქვით, ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიაზე ოდესის სამხედრო ოლქსა და ლენინგრადის სამხედრო ოლქის სამხრეთ ნაწილში გათვალისწინებული იყო ჯავშანტექნიკისა და საველე არტილერიის სპეციალური სასაწყობო მარაგის შექმნა საერთო ჯამში 1000 საბრძოლო ტანკის, 800 მაჯავშნული საბრძოლო მანქანისა და 900 საველე საარტილერიო ერთეულის რაოდენობით. ამრიგად, ყოფილი სსრკ-ს ტერიტორიის საფლანგო რაიონებში რეგულარულ საჯარისო ნაწილებში შეიძლებოდა ჰყოლოდათ არაუმეტეს 1850 საბრძოლო ტანკის (და კიდევ არაუმეტეს 1000-ისა საწყობებში), 1800 მოჯავშნული საბრძოლო მანქანის (პლუს არაუმეტეს 800-ისა საწყობებში) და 2775 საველე საარტილერიო სისტემის (პლიუს არაუმეტეს 900 ერთეულისა მარაგში). მთლიანობაში, როგორც რეგულარულ ნაწილებში, ისე სპეციალურ საწყობებში სსრკ-ს საფლანგო ტერიტორიებზე შეიძლებოდა ყოფილიყო არაუმეტეს 2850 საბრძოლო ტანკის, 2600 მოჯავშნული საბრძოლო მანქანის და 3675 საველე საარტილერიო სისტემისა. ეს მეტად მნიშვნელოვანი მონაცემებია და ვთხოვთ მკითხველს ყურადღება მიაქციოს მათ.

√ ი. ხართიშვილი

(გაგრძელება იქნება)

# კურიოზები

თეატრისა და კინოს მსახიობი, გიჟური კობახიძე (გოდერძი მახარაშვილი)

ესაუბრა: მურმან მერკვილიშვილი

გიჟური (გია) კობახიძე, თავისი იშვიათი გარეგნობით, ჰოლივუდში (დარწმუნებული ვარ) ამერიკელებს არაერთხელ „დაუვსებდა“ თვალს, მაგრამ თავის დროზე ამერიკისკენ გახედვაც კი იკრძალებოდა.

ახლა, ჩვენს დღევანდელობაში, გიჟური ძალიან ხშირად აპარებს თვალს ჰოლივუდისკენ.

რა იცით, რა მოხდება? დღეს არავის არაფერი უკვირს. მით უმეტეს, ადვილი შესაძლებელია, მოხდეს სასწაულიც... რამეთუ, მიუხედავად შუახნის ასაკისა, მას თავისუფლად შეუძლია ოცნებას ფრთები შეასხას.

მანამდე? – მანამდე კი, მოვუსმინოთ მას.

მურმან მერკვილიშვილი

*ინსტიტუტში*

1965 წელს დავამთავრე თბილისის თეატრალური ინსტიტუტი. პირველ კურსზე კი ასეთი ამბავი შემემთხვა.

მოკლედ ვიტყვი: ჯერ ვიჩხუბეთ. ბიჭებმა (ქუჩაში), მერე კი სასწრაფოდ მოვხვდი მილიციაში.

ახლა, კაცმა რომ თქვას, არც დანაშაული იყო დიდი და არც სასჯელი, მაგრამ ფაქტი ფაქტია.

მოვიხადე სამდღიანი სასჯელი და მოვიდა კიდევაც მოწერილობა ინსტიტუტში, „ეს ასეთიო, ეს ისეთიო“.

ავიღე სუფთა ფურცელი და თვითდასჯის მიზნით დავწერე განცხადება ინსტიტუტიდან წასვლაზე.

მივართვი განცხადება ბატონ ილია თავაძეს.

– რაა, ბიჭო, ეს? – მეკითხება ბატონი ილია.

– განცხადება, ბატონო ილია.

არც დაუხედავს, ისე მეკითხება, ისევ.

– რაა, ბიჭო, ეს? ... ბინას ითხოვ?

– არა, ბატონო, წასვლა მინდა.

– რის, გულის?

– არა, ინსტიტუტიდან მინდა წასვლა.

– რატომ?

– რომ ვიჩხუბე და მილიციაში მოვხვდი, აპა ის კაი იყო?

სანამ გამრიცხავთ, ჩემით წავალ – ამიჩუყდა გული.

– კი, მაგრამ ვინ გრიცხავს?

– რა ვიცი მე... რო ვიჩხუბე, ის ხო კაი იყო? – აპა, რა ვქნა?

– ეჰ, გიჟური, გიჟური... მირონის მადლმა დაიფაროს ყველა ბოროტებისგან შენი ნათლია. შესაფერისი სახელი დაურქმევია შვილო... მერე რა... ვაჟკაცი კაცი ხან იჩხუბებს, ხან...

დახია განცხადება და ჩაუძახა ურნაში. უნიათოდ გამოვლასლასდი.

*შეხვედრა ავლიპისთან*



კინოსტუდიაში ვარ. მიმიწვიეს გადაღებაზე.

იმ წუთის გამოსული ვარ დუბლიაჟიდან.

შორიდანვე მოვკარი თვალი შესანიშნავი გარეგნობის ჭარმაგ, დინჯად მომავალ მამაკაცს, რომელსაც მოწიწებით მოჰყვებიან კინოსტუდიის თანამშრომლები.

უნდა მოგახსენოთ, რომ ერთბაშად ვერ გავიხსენე (არადა, ტელევიზორში მენახა).

... თურმე, ბატონ ავლიპ ზურაბაშვილზე დოკუმენტურ ფილმს იღებდნენ. სწორედ ის გახლდათ.

– ვინ არის ეს ყმაწვილი? – მოულოდნელად (ჩემდა გასაოცებლად) მოანიშნა ჩემზე მხლებლებს ბატონმა ფსიქიატრმა.

– ჰოი, ეს ჩვენი ახალგაზრდა მსახიობია. აუხსნეს.

– რა გქვიათ, ყმაწვილო? – შეჩერდა ავლიპი.

– მეე – ბატონო?

– აბა, მე ავლიპი ვარ... გადახედა მხლებლებს... ისინიც „პადხალიმურად“ ახარხარდნენ.

– მე, მე... გიჟური, ჩემო ბატონო.

– როგორა?

– გიჟური... გავურიე დამაჯერებლობა ხმაში, „სახელი მაქვს გიჟური, მიყვარს ყურძნის ნაჟური“, ჩავარაკრაკე „ექსპრომტი“.

– მდაა, – ჩაფიქრდა ზურაბაშვილი და „ამალას“ მიუბრუნდა:

დიდი ხანია, ასეა?

– კი, ბატონო, სულ ასეა, რაც ვიცნობთ, დამჯმოწმნენ ისინიც.

– გემეცალეთ, გემეცალეთ – ცოტა იქეთ დადექით, მარტო დამტოვეთ... „ისინიც“ მოსცილდნენ – მოწიწებით.

– მდაა, არა გენაცვა შენ არ ინერვიულო, მე, ჩემი მოღვაწეობის მანძილზე უარესი შემთხვევები მქონია. მაშა, გიჟური არა?

– კი, ბატონო.

– მერე, რა ვუყოთ, შვილო... ზოგი იძახის გამომძიებელი ვარო, ზოგი – ნაპოლეონიო... ერთი იძახდა – ცოლის „იუბკა“ ვარ და არ მაუთოვებენო... ხდება... ხდება...

ახლა მე შემეპარა ეჭვი.

– თქვენა, ბატონო ავლიპ, ისე ხომ არ...

– არაა! – აი, ჩემი სავიზიტო ბარათი... არ შაჭამო შვილო, ეს „პეროჟნი“ არ გეგონოს. მოხვალ ჩემთანა... ერთი-ორი პროცედურა და ყველაფერი რიგზე იქნ...

მიწა გამისკდა... მართლა გავგიჟდი.

– ვაა, ამას ვის ვხედავ. გამორბის ჩემი მიმართულებით, შესანიშნავი გარეგნობის ვაჟკაცი. ვააა, გიჟური, სად დამეკარგე ბიჭო, გადამეხვია და გადამკოცნა.

... ნუგზარ შარია...

გადავკოცნეთ ერთმანეთი ძმებმა. „ჩავბ?? ერთმანეთი.

გაოცებული ფსიქიატრი გვიყურებს...

– მაიცა, ეს ვინღაა? – მეკითხება.

– ეს შარიაა, ბატონო ავლიპ, შარია...

– შარია?

– დიახ!

– ვააა! – ღმერთო, ნუ შემშლი. არა, არა... ერთი საათისთვის ეს მეტისმეტია. ეს გიჟურიო... ეს – შარია... ვაა. შარია, მა რა დოზანაა კაცოოო! და სასწრაფოდ გაგვშორდა...

*„ვპერიოდ, ბრატცი“*

„ჯარისკაცის მამას“ ვიღებდით.

რაიხსტაგის აღების სცენაღაა დარჩენილი.

„მობილიზებულია „ჩვენი ჯარები. მზადაა სახმელეთო და საჰაერო ტექნიკა.

მე – გოდერძი მახარაშვილს ვასახიერებდი.

მომნახა მამა-გიორგი მახარაშვილმა. მაგრამ ყრიმანეთს ომის სისასტიკე და კიბეების ხაფეხურები გვაშორებს.

– გოდერძიი? გადაღების წინ ხმა შემოწმა ბუმბერაზმა სერგო ზაქარიაძემ.

– აქ ვარ მამმიი! – ვეპასუხები.

... ყველაფერი რიგზეა, გადასცეს გადამღებმა პერსონალმა რეჟისორს.

სადაცაა დაიძახებენ: „მატტორრ... მიფართქალებს გული ამ დამწყებ მსახიობს. არადა – დამეთანხმებით, არაა ადვილი, ასეთ გრანდიოზულ გადაღებაზე რომ რაიმე პატარა შეცდომა დაუშვა. დიდად სანერვიულო (ოტელო ან ჰამლეტი) როლი მე არ მქონდა, მაგრამ, თუ მკითხველი წარმოიდგენს მთელ იმ ეიფორიას, რაც ამ ეპიზოდს ახლდა, არც თუ ადვილი გახლდათ. (საყურებლად ადვილია). შემეშალოს რამე და დავწერ განცხადებას, „გამათავისუფლეთ ომიდან“ – თუ რა?

მოკლედ, ასეთ ეიფორიაში ვარ და მესმის ხმა: „მატტორრრ!“

დაიწყო ჯოჯოხეთი.

დაიწყო „შტურმი“.

– ურრააა! იღრიალეს ჩვენებმა და წავიდა ტყვიების წივილი...

ისეთი ბათქი-ბუთქია, სადაცაა გავგიჟდები (პახმელიაზე ვიყავი). არადა, რა მიკვირს, მურმან იცი? – რაიხსტაგის აღების დროს მე მგონი ორჯერ ნაკლები სროლა იყო. არ ვიცი, მაგრამ ბიძაჩემისგან ვიცი, ამდენი სროლა არ ყოფილაო. (იქაა ნამყოფი). რომ არ დავყრუვდი, ახლა მიკვირს.

ჩემამდე ჯერ არ მოდიან. მე ზემოთ ვწევარ და ველოდები: „გოდერძიი, ბიჭოოო“-ს. ვუყურებ რა ხდება ქვემოთ.

სროლაა? – დედა შვილს არ აიყვანს“.

მოულოდნელად ჩემი ყურადღება სცენარით გაუთვალისწინებელმა კურიოზმა მიიპყრო.

მოულოდნელად წამოხტა კაცი. კაცია, რა!..

გადაიდლლიზა „მატროსკა“ და იღრიალა.

– კრავა სოსი... ია ვაში მამ... იდიწე... სტრელიაწე! ზა როდინუუ! – ზა როდინუუ!!! ბრატცი.. ვპერიოდ, ვპერიოდ... გარბის...

იმან გამაოცა, რომ ავტომატი კი არა, ხელში ქვაც არ უჭირავს.

გამიკვირდებოდა, აბა რა ჯანდაბა დამემართებოდა, ეს კაცი არც რეპეტიციაზე მინახავს, არც – მითუმეტეს – ქუჩაში.

– ზზზა როძინუუ... და გარბის... მისდევს დანარჩენებს. წამოკრა ფეხი კიბეს, დაასკდა ცხვირით.

შეელება ცხვირ-პირი სისხლით... ჩამოეწვეთა ჩამოღვარა ტანსაცმელზე მარა, მაინც ღრიალებს: „ზა როდინუ“-ს.

ესეც არ იკმარა, გაედო ვიღაც ავტომატიანს ფეხებში, ეს ავტომატიანიც წაიქცა და წამოემხო მეორე ავტომატიანი ზემოდან (ირღვევა სცენარი და გამცრა ტანში), იმას მეორე ჩამოემხო...

– სტოოპპ! – იკივლა მეგოფონმა.

რავარი საქმეა?

ბუნებრივია, არავის მოეწონებოდა ასეთი რამე.

სტაცეს ამ გასისხლიანებულ „მუჟიკს“ ხელი და მიათრიეს რეჟისორთან.

– ტი კტო? – ეკითხება რეჟისორი.

– ია, ჩელავეკ საველცკოპო სოიუზა! – იყო ლაკონური პასუხი. ხელისგული გასისხლიანებულ სიფათზე მოისვა და მესამეკლასელის დახატულ აბსტრაქტულ ნახატს დაემსგავსა.

მერე გაირკვა:

იმ ჩვენი გადაღების (და ჩვენი ცოდვით სავსე) „მუჟიკს“, რომელიც ომში ყოფილა ნამყოფი, გადაღების მოედანზე დაძინებოდა და რომ დაინახა (გაღვიძებულმა) „შტურმიაო“ – აგვყვებოდა, აბა რას იზამდა.

ისე... მერე გადაღებაშიც ჩავრთეთ...

## საქართველოს სახალხო ფრონტის განცხადება

უკვე რამდენიმე თვეა ჩეჩნეთში (იჩქერიის რესპულიკაში) მიმდინარეობს ომი, რომელშიც რუსეთის ფედერაციის რეგულარული არმია, შინაგანი ჯარები და პოლიციის ნაწილები იყენებენ არტილერიას, ბომბდამშენ ავიაციას და თანამედროვე მძიმე შეიარაღების სხვა სახეობებს. ომის მიზნად თავდაპირველად გამოცხადებული იყო ჩეჩნეთის გარშემო კორდონის შექმნა, რათა არ მომხდარიყო ჩეჩნეთიდან შეიარაღებული რაზმების გასვლა რუსეთის ფედერაციის სხვა ტერიტორიებზე ჩეჩნეთის გარეთ. შემდეგ გამოცხადდა, რომ ეს კორდონი მოიცავს ჩეჩნეთის ტერიტორიის ნაწილსაც მის პერიმეტრებზე, შემდეგ – რომ საბრძოლო ოპერაციის მიზანია ჩეჩენი „ტერორისტების“ განადგურება უკანასკნელ კაცამდე, იქ, სადაც ისინი იქნებიან. ამ მოტივით ომის გაგრძელებას და ესკალაციას ხელი არ შეუშალა იმან, რომ რუსეთის სამართალდამცავი ორგანოები, რომელნიც მოსკოვსა და ვოლგადონსკის ტერაქტებში „ჩეჩნური კვალის“ არსებობას ხედავენ, არ ასახელებენ არც ერთ ეჭვმიტანილს, რომელიც ჩეჩნურ ეროვნებას ეკუთვნის და ამგვარად, დამნაშავის ეროვნებას საზღვრავენ მანამდე, სანამ მისი პიროვნების იდენტიფიკაციას მოახდენდნენ, ანუ სანამ მის ვინაობას დაადგენდნენ. ახლა უკვე გამოცხადებულია, რომ „ტერორისტობის“ ეჭვი ანუ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობაზე ეჭვი ვრცელდება ყველა მამაკაცზე და, მაშასადამე, შეიარაღებული მოქმედების მიზანს ყველა ამგვარად ეჭვმიტანილის უვნებელყოფა შეადგენს. ფაქტები და განცხადებები მოწმობს, რომ ამ მამაკაცთა მინიმალურ ასაკად დადგენილია ან 12 წელი, ან 10 წელი. რუსეთის ფედერაციის ამგვარ მოქმედებას სხვა შეფასება ვერ მიეცემა, თუ არ მიზანმიმართული გენოციდისა ჩეჩენი ხალხის წინააღმდეგ. საქართველოს სახალხო ფრონტი ულრმეს შეშფოთებას გამოთქვამს ამის გამო და მოუწოდებს მსოფლიო საზოგადოებრიობას ყველა შესაძლო საშუალებით დაიცვას ჩეჩენი ხალხი მოსპობისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# -ტესტი-



## რამდენად კეთილი ხართ?

ადამიანები სხვადასხვანაირი არიან... ზოგს შეუძლია უკანასკნელი ლუკმა გაუყოს პირველივე შემხვედრს, ზოგი კი ზამთარში თოვლსაც არ გიწილადებს. თქვენ რომელ კატეგორიას ეკუთვნით? ყოველთვის კეთილი და ყურადღებიანი ხართ? ამის გარკვევაში წინამდებარე ტესტი დაგეხმარებათ.

1. მოულოდნელად ბლომად ფული იშოვნეთ. შეგიძლიათ ეს თანხა მთლიანად მეგობრების საჩუქრებისათვის დახარჯოთ?

2. ამხანაგი თავის გასაჭირზე გიამბობთ. აგრძნობინებთ, რომ ეს თქვენ ნაკლებად გაინტერესებთ, თუნდაც ეს მართლაც ასე იყოს?

3. თუ თქვენი პარტნიორი ცუდად თამაშობს ჭადრაკს (ნარდს, ბილიარდს...), შიგადაშიგ ხომ არ მოაგებინებთ მხოლოდ იმიტომ, რომ ასიამოვნოთ (კარგ ხასიათზე დააყენოთ)?

4. განწყობილების ამაღლების მიზნით ადამიანებისათვის კეთილი სიტყვის თქმა თუ განიჭებთ სიამოვნებას?

5. გიყვართ ბოროტი ხუმრობა?

6. გულღრძო ხომ არა ხართ?

7. შეგიძლიათ მოთმინებით მოისმინოთ ის, რაც თქვენთვის აბსოლუტურად უინტერესოა?

8. შეგწევთ უნარი, პრაქტიკაში გამოიყენოთ თქვენი შესაძლებლობები?

9. თავს ანებებთ თამაშს, თუ ატყობთ, რომ ბედი არ გწყალობთ და აგებთ?

10. თუ დარწმუნებული ხართ თქვენს სიმართლეში – უჩრს ამბობთ ოპონენტის არგუმენტების მოსმენაზე?

11. სიამოვნებით ასრულებთ თხოვნას?

12. შეგიძლიათ ვინმეს გაშარჟება ირგვლივმყოფთა გასამხიარულებლად?

დაითვალეთ ქულები

დადებითი პასუხისათვის ჩაიწერეთ თითო 0,5 ქულა.

უარყოფითი პასუხისათვის თითო-თითო ქულა დაიწერეთ.

შ ე დ ე გ ე ბ ი :

8 ქულაზე მეტი – კეთილი ხართ, ადამიანებს მოსწონხართ, შეგიძლიათ მათთან ურთიერთობა. ალბათ, მეგობრებიც ბევრი გყავთ, მაგრამ ერთი გაფრთხილება მაინც გაითვალისწინეთ; ნუ შეეცდებით კარგი ურთიერთობა გქონდეთ ყველასთან, ყველას გულის მოგება შეუძლებელია და არც გამოგადგებათ.

4-დან 8 ქულამდე – თქვენი სიკეთე შემთხვევის საკითხია. ყველასთან კეთილი არა ხართ, ზოგისთვის ყველაფრის გაკეთება შეგიძლიათ, მაგრამ მათთვის, ვინც თქვენ არ მოგწონთ, თქვენთან ურთიერთობა, რბილად რომ ვთქვათ, არასასიამოვნოა. ეს არც თუ ისე ცუდია, მაგრამ, ალბათ, სჯობს და უნდა ეცადოთ, გაწონასწორებული იყოთ ყველასთან, რათა ადამიანები არ გაანაწყენოთ.

4 ქულაზე ნაკლები – თქვენთან ურთიერთობა ზოგჯერ სატანჯველად იქცევა ხოლმე თქვენი ყველაზე ახლობელი ადამიანებისათვისაც კი. იყავით უფრო მეტად კეთილმოსურნე და მეტი მეგობარი გეყოლებათ. მეგობრობა ხომ კეთილმოსურნეობას და გულითად ურთიერთობას მოითხოვს.

## რამდენად ერუდირებული ხართ?

1. თეიმურაზ I გამეფდა 1606 წელს და იმეფა:
   ა) 27 წელს;
   ბ) 42 წელს;
   გ) 4 წელს.

2. ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა მოხდა:
   ა) 1917 წლის 12(25) მარტს;
   ბ) 1918 წლის 12(25) მარტს;
   გ) 1919 წლის 12(25) მარტს.

3. რომელ ქართველ მეფეს უწოდებდა „სიბრძნის მდელოს" დიდი რომაელი ფილოსოფოს-ნეოპლატონიკოსი ლიბანიოსი:
   ა) ფარსმან II ქველს;
   ბ) მირიანს;
   გ) ბაკურ იბერიელს.

4. ვინ დაწერა ოპერა „ქეთო და კოტე":
   ა) დიმიტრი არაყიშვილმა;
   ბ) ვიქტორ დოლიძემ;
   გ) მელიტონ ბალანჩივაძემ.

5. რუანდის (აფრიკა) დედაქალაქია:
   ა) კიგალი;
   ბ) ლაგოსი;
   გ) ნიამეი.

6. კასპიის ზღვის აუზის საქართველოს მდინარეებიდან ყველაზე გრძელია:
   ა) ალაზანი;
   ბ) თერგი;
   გ) მტკვარი.

7. ვისი არია იწყება სიტყვებით:
   „ვეძებდი ბედსა და ვპოვე ხელად, ბედმავ ჩამაგდო ამ სატანჯველში".
   ა) მალხაზის არია („დაისი");
   ბ) მაროს არია („დაისი");
   გ) აბესალომის არია („აბესალომი და ეთერი").

8. ვის ეკუთვნის სიტყვები (ლექსიდან):

„გამიქვავდეს მაშინ ენა,
თუ რომ ვისმე მივეფერო,
და გამიხმეს ეს მარჯვენა,
თუ სიმრუდით სიმთ ვაჟღერო?"

   ა) აკაკის;
   ბ) ვაჟას;
   გ) იოსებ გრიშაშვილს.

9. ფილმის „ჯვარცმული კუნძული" რეჟისორია:
   ა) კარლო გოგოძე;
   ბ) შოთა მანაგაძე;
   გ) სულიკო ჟღენტი.

10. ბრძენმა კანონმდებელმა ლიკურგემ (IX-VIII სს. ჩვ. ერამდე) დაადგინა: თუ ოჯახში ქმარი უნაყოფო აღმოჩნდებოდა:
   ა) უნდა აეყვანა 3 ბავშვი;
   ბ) გაპყროდა ქმარს;
   გ) დროებით უფლებები სხვა მამაკაცისთვის დაეთმო.

გაზეთ „საქართველო"-ს კომპიუტერული ცენტრი გთავაზობთ გაზეთების, ჟურნალების, წიგნების დაკაბადონებას,

სწრაფად და ხარისხიანად, თანაც, რაც მთავარია, მისაღებ ფასებში

8 გვერდიანი A3 ფორმატის შავ-თეთრი გაზეთის დაკაბადონება – 50 ლარი

თითოეულ ფერად გვერდში +5 ლარი.

4 გვერდიანი A4 ფორმატის შავ-თეთრი გაზეთის დაკაბადონება – 12 ლარი

თითოეულ ფერად გვერდში +3 ლარი.

ქართული წიგნის დაკაბადონება 1 ფორმა (16 გვერდი) 13-20 ლარი, სირთულის მიხედვით

უცხოენოვანი წიგნის დაკაბადონება 1 ფორმა (16 გვერდი) 15-25 ლარი სირთულის მიხედვით

ჩვენი მისამართია:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5. II სართული, ოთახი №210. ტელ.: 93-20-36, 93-18-41

საქართველოს სახალხო ფრონტი და გაზეთ „საქართველოს" რედაქცია სამძიმარს უცხადებს ვასილ ხომერიკის ოჯახს მისი ტრაგიკული აღსასრულის გამო

სამუშაოდ ვიწვევთ ახალგაზრდა ჟურნალისტებს.
ტელ.: 93-20-36

### გვედრით იესო!

ისევ სიბნელე და კვლავ
წკვარამი,
ღვთისმშობლის ერის ტანჯვა,
ვარამი,
ღმერთო! შთაგვბერე სული
დავითის,
ორიათას წელს გვაღრჩობს
ბალღამი!!!

გულაბერ კლარჯი

მთავარი რედაქტორი
სერგო ჯანაშია

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5
გაზეთის ინდექსი 66447

შ.პ.ს. გაზეთი „საქართველო"
რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444

ტელ.: რედაქტორი: 93-20-36, რედაქცია: 93-18-41

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გამოქვეყნებული მასალებზე პასუხს ავტორები აგებენ.